რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 აპრილი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 26 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 26

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის“ რედაქციის გვერდით.**

**მუდმივი მდივნის მოვალეობას შეასრულებს ზ. ჩიჩუა და ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ მას ახსნა-განმარტებისთვის.**

**ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე.**

**საღამოს 5—7 „**

## პირველი მაისი.

ამხანაგებო! დღეს შრომის დღესასწაულია, პირველი მაისი ახალი სტილით. მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი უქმობს მას, როგორც სიმბოლოს ყველა ქვეყნის მუშათა ინტერესების სოლიდარობის და ერთა ძმობისა.

პირველი მაისის დღესასწაულს 27 წლის ისტორია აქვს.

პირველათ ამერიკის მუშათა კონგრესმა ქ. სენ-ლუიში 1888 წელს დეკემბერში მიიღო დადგენილება, რომ პირველ მაისს გაემართათ მანიფესტაციები ნორმალური 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოებლათ. 1889 წელს უკვე ინტერნაციონალურმა სოციალისტურმა კონგრესმა პარიზში მოუწოდა ყველა ქვეყნის მუშებს, ედღესასწაულათ პირველი მაისი და მოეთხოვათ ამ დღეს სახელმწიფოსაგან 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება, მუდმივი ჯარის ნაცვლათ სახალხო მილიციის დაწესება, და სასტიკი პროტესტი გამოეცხადებინათ გაბატონებულ კლასთა დაპყრობითი ლტოლვილების წინააღმდეგ.

ამიერიდან პირველი მაისი მთელი ქვეყნის მუშათა დღესასწაულათ გამოცხადდა. მის წითელ დროშის ქვეშ თანდათან მუშათა ახალ-ახალი შეგნებული რაზმები დგებოდა, ახალ-ახალი ორგანიზაციების ჯაჭვი იკვრებოდა და ბურჟუაზიულ ქვეყანას წითელი აჩრდილი სერიოზულ საფრთხეთ ევლინებოდა.

მაგრამ აი ჩამოკრა მსოფლიო ომის ზარმა და სურათი შეიცვალა, თითქმის სამი წელიწადია, რაც მილიონობით მუშათა და გლეხთა სისხლი ნიაღვარათ სდის გაუმაძღარ ბრძოლის ველს. ხალხი უმოწყალოთ იჟლიტება. ხოლო ამ ომის გამომწვევ ევროპის იმპერიალისტთა სიმდიდრე საარაკო სისწრაფით იზრდება. მათ შეეძლოთ კიდეც ემაყათ თავისი გამარჯვებით, რადგან მათ მოახერხეს ძმის ძმაზე მისევა. იმპერიალისტთა ნებით და სურვილით ერთი ქვეყნის მუშები მეორისას საჟლეტათ დაერიენ. სოციალისტურ ინტერნაციონალს სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა და დაიშალა.

აი ასეთ წუთში იფეთქა დიდებულმა რუსეთის რევოლიუციამ. ქალაქის პროლეტარიატმა და ჯარის კაცის მაზარაში გახვეულმა მუშამ და გლეხმა სასიკვდილოთ დასცეს მეფობა და თვით იმპერიალისტთა ბუდეც დააზანზარეს. რევოლიუციურმა მუშათა კლასმა და ჯარისკაცებმა ენერგიულათ გაილაშქრეს ბურჟუაზიულ მთავრობათა დაპყრობითი მისწრაფებათა წინააღმდეგ. შრომის არმია ყველგან შეიძრა. გერმანიის და ავსტრიის მუშათა კლასმა მოითხოვა ზავი უანექსიოთ, ესე იგი სხვისი მიწების დაუპყრობლათ და უკონტრიბუციოთ, ზავი აგებული ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. სოლიდარობით გამსჭვალული მუშები ყველა ქვეყნისა ისევ ძმურათ უწვდიან ხელს ერთმანეთს.

**გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!**

ამხანაგებო! ომს ერთი შედეგი მოაქვს: ხალხთა სიღატაკე და ერთა მონობა. ის სიხარულს ფენს მხოლოდ ფოლადისა, რკინისა და თუჯის მეფეებს, რომელნიც ტყვია წამალს და სხვა საომარ იარაღს ამზადებენ. სწორეთ მათ მოახვიეს თავისი სურვილი ევროპის ხალხთ და ისინი უმაგალითო ცეცხლის ალში გახვიეს ახალ ბაზრების შესაძენათ და ხალხის დასამონებლათ.

სამი წელია, რაც სისხლით მორწყულია ველ-მინდორი და არავინ იცის იგი როდის დაიშრიტება, როდის მოეღება ბოლო ძმის მიერ ძმის მკვლელობას.

ამხანაგებო! მშვიდობიანობის აღდგენა მთელი ქვეყნის შეგნებულ მუშათა ხელშია. მხოლოდ რევოლიუციურ ხალხს შეუძლია ფრთა შეაჭრას იმპერიალისტთა უსაზღვრო მადას და სისხლის ღვრას ძმათა შორის ბოლო მოუღოს. მშვიდობიანობა მაშინ გამეფდებოდა, როცა რუსეთის რევოლიუციის მძლავრი ყიჟინა მსოფლიო ყიჟინათ გადაიქცევა, და ყველა ერის მუშათა კლასი თავის გაბატონებულ კლასებს და მთავრობებს ლაგამს ამოსდებს. მხოლოდ მაშინ დამყარდება ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

**მაშ გაუმარჯოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს!**

მთელი საუკუნოებით იზნიქებოდა რუსეთის ხალხი მეფობის მძიმე უღელ ქვეშ, სანამ თებერვლის რევოლიუციის ქარიშხალმა არ წალეკა ნიკოლოზ რომანოვის ტახტი. თავისუფლების სხივი მოეფინა განაწამებ რუსეთს, მაგრამ რეაქციის სულის ჩამდგმელთ ჯერ იარაღი არ დაუყრიათ, ჯერ იმედი არ დაუკარგავთ. ყველა ჯურის მონარქისტები, დღეს მიმალულნი, პირველ მარჯვე შემთხვევისათანავე შეეცდებიან კვლავ მეფობის დროშის აფრიალებას.

დარაჯათ მოევლინეთ თავისუფლებას, ამხანაგებო! რევოლიუციის სვე და ბედი დღეს თქვენთ ხელთაა: თქვენ შეგიძლიათ საბოლოოთ იხსნათ რუსეთი მეფობის კვლავ დაბრუნებისაგან. თქვენ უნდა იხსნათ იგი ამ საფრთხისაგან.

დაე პირველი თავისუფალი დღესასწაული შრომისა რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცების და გაბატონების დღეთ გახდეს.

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

ამხანაგებო! რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში იბრძვის საერთაშორისო მუშათა კლასი 8 საათის სამუშაო დღის საკანონმდებლო გზით დასაწესებლათ.

ნორმალური სამუშაო დღე—აუცილებელი პირობაა მისი ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების, მთავარი საფუძველია მისი კლასიური ძლიერების შექმნის და ამ ქვეყნათ შრომის თავისუფალ სამეფოს დამყარების.

დღეს საუკეთესო დროა ამ მიზნის მისაღწევათ. მეფობა დაემხო, მაშასადამე აღარ არსებობს ყველაზე საშინელი მოსისხლე მტერი დემოკრატიულ მოთხოვნილებისა.

ქარხანა-ფაბრიკების პატრონები, რევოლიუციის ზეგავლენით, აქა-იქ თანხმდებიან უკვე 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას. დაგვრჩენია მტკიცეთ მოვითხოვოთ დროებით მთავრობისაგან შესაფერი დეკრეტით 8 საათის მუშაობის დაკანონება. მთავრობა ჩვენს მოთხოვნას ვერ გაუძალდება; შეგნებულ მუშათა მძლავრ ხმას წინ ვერ აღუდგება.

**მაშ გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!**

ამხანაგებო! ეს პირველი თავისუფალი დღესასწაულია მშრომელი კლასისა თავისუფალ რუსეთში. და ყველა მუშებმა განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ერთსულოვნათ უნდა ვიდღესასწაულოთ ის. გაიფიცეთ 1 მაისს, გამართეთ მანიფესტაციები, აღიმაღლეთ ხმა დემოკრატიის გასამარჯვებლათ და იმპერიალიზმის შესამუსრავათ.

**გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!**
**გაუმარჯოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს!**
**გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!**
**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**
**გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!**
**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

## შრომის დღესასწაული.

**ამხანაგებო!**

გილოცავთ თავისუფალ მაისობას თავისუფალ რუსეთში.

თქვენმა დაუღალავმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. ორი ათეული წლის წინეთ მთის ამოფარებულ კუნჭულში შეგროვილი მცირედი ჯგუფი შეგნებულ მუშათა, ფარულათ, ჩუმათ, მარა იმედის ნაპერწკლით გულში შეხაროდა მუშათა ამ ბრძოლის დღესასწაულს. ასე იყო თფილისში, ბაქოში, ბათომში, ასე იყო რუსეთის მრავალ ქალაქებში, სადაც კი პირველათ აინთო ლამპარი მუშათა რევოლიუციური თვითცნობიერების.

დღეს ეს ჯგუფი უკვე ურიცხვ ლაშქრათ გადაიქცა და ბრძოლის დღესასწაული გამარჯვების დღესასწაულათ. რამდენი სისხლი მოსცხებია იმ წითელ დროშებს, რამდენი სიცოცხლე შესწირვია მუშათა საქმისთვის თავდადებულის! ვინ მოსთვლის ამას?

დღეს ბრძოლა პირველი გამარჯვებით დაგვირგვინებულია. მებრძოლთა სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგზე უხვი ნაყოფი ამოსულია: თავისუფალია რუსეთის ხალხი, თავისუფალია მუშა კლასი.

ძირითადი მოთხოვნილება პირველ მაისობის, საერთაშორისო მუშათა კავშირისგან დაწესებული 8 საათის სამუშაო დღე, თითქმის მთელ რუსეთში განხორციელებულია, მილიტარიზმის გასაუქმებლათ მძლავრი და ნაყოფიერი ბრძოლა ენერგიულათ სწარმოებს.

დღეს ჩვენ დროშას გარს მთელი საზოგადოება შემოხვევია, ყველა მას შეხარის, ყველა ეთაყვანება, ისიც კი ვინც წინათ ებრძოდა, ან-და გულგრილათ შესცქეროდა.

მარა ისინი მხოლოდ დღეს, ამ საერთო ზეიმის ხანაში გვიერთდებიან, ამ პოლიტიკურ განახლების დიად მომენტში გვერდში გვიდგებიან.

ისინი ჩვენთანაა იმიტომ, რომ დღევანდელი პირველი მაისობა პოლიტიკურ გამარჯვების დღესასწაულია, გამარჯვების, რომელიც მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა არმიამ მოიპოვა. მათი ჩვენთან მოსვლა და ჩვენ დროშისკენ გადახრა, ეს რუსეთის განახლებაში მუშათა მეთაურობის ცნობაა, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიღებაა. ამიტომ ამ მტერ-მოყვარეთა შემოკედლება დროებითი და წარმავალია.

არსებითათ პირველი მაისი დღესაც მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის დღესასწაულია. იგი აქ თავის კლასიურ ბრძოლას აწარმოებს, კლასიურ მოთხოვნილებებსა და ლოზუნგებს აყენებს, თავის რევოლიუციურ გზას და კვალს იკაფავს. დანარჩენი საზოგადოება კი მის ფეხის ხმას მიყვება.

გაივლის ხანი და ეს აღფრთოვანება შეიკვეცება, მაგრამ არ შეიკვეცება ბრძოლა მუშათა კლასის, არ შეჩერდება მისწრაფება მათი ბრწყინვალე მომავლისადმი. მუშათა ბრძოლა გუშინ არ დაწყებულა და არც ხვალ გათავდება. გარდა პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებისა მუშათა კლასს თავის დიადი მიზანი აქვს. ესაა შრომის განთავისუფლება. ესაა მთელი ბურჟუაზიულ საზოგადოების გადაქმნა. ე. ი. ეკონომიურ უთანასწორობის გაუქმება და ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრის მოსპობა.

დღეს მხოლოდ პირველი საფეხურია ამ ბრძოლის გზისა, დღეს მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება და თანასწორობაა მოპოებული. უმთავრესი და უდიდესი მიზანი ჯერ ისევ წინ გვიდევს. ურთულესი სამუშაო და უძნელესი ბრძოლა მომავალში მოგველის.

მუშათა კლასი განამტკიცებს და გააღრმავებს მოპოვებულ უფლებებს, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს თავის საბოლოო მიზანს—სოციალიზმს.

მაშ, მოგილოცავთ პირველ გამარჯვებას და გისურვებთ სოციალიზმისთვის ენერგიულ ბრძოლას.

## მუშათა კლასი და პირველი მაისი.

უთვალავია გაბატონებული კლასების უქმე, მარა ერთია შრომის დღესასწაული. ეს არის პირველი მაისი. ამ დღეს ინტერნაციონალი განვლილ მოძრაობას იგონებს და ახალი ბრძოლისთვის ნიადაგს იმზადებს. პირველი მაისი მუშათა მობილიზაციისა და საერთო საქმისთვის დარაზმვის დღეა.

1890 წლიდან მოკიდებული, როცა საერთაშორისო დემოკრატიამ პირველათ იდღესასწაულა პირველი მაისი, ინტერნაციონალი მუდამდღე ფრთებს ისხამდა და ვითარდებოდა. წითელი საფრთხე ბურჟუაზიულ ქვეყანას განადგურებას უქადდა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა მსოფლიო ომმა იფეთქა. იმპერიალისტური სახელმწიფონი ერთი მეორეს დაერივნენ ახალი ბაზრების შესაძენათ და უცხო ქვეყნების დასაპყრობათ. ინტერნაციონალი უცებ ორათ გაიყო. საერთაშორისო მუშათა კლასი მოწინააღმდეგე ბანაკებში აღმოჩნდა. ძმა ძმის წინააღმდეგ ამხედრდა და საერთო ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წრეებისა და მათ ამყოლ-დამყოლთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ინტერნაციონალს წესი აუგეს და მას ასამარებდენ. მათ დაივიწყეს, რომ აღმართს დაღმართი მოსდევს. ხოცვა-ჟლეტის ხანაში რუსეთის რევოლიუციამ იელვა. მუშათა კლასმა და ჯარისკაცის მაზარაში გახვეულმა ხალხისავე შვილებმა დასცეს მეფის ტახტი და თავისუფლება დაამკვიდრეს. იმპერიალისტთა ბატონობაც შეინძრა. სხვადასხვა ქვეყნის მუშები ერთი მეორეს ხელს უწვდიან და სოლიდარობას ეფიცებიან.

ეს უპირველესათ ზავის საკითხში გამოსჩანს. ომით ხელი მოითბო ბურჟუაზიამ. მეტალურგიულმა ტრესტებმა, თოფზარბაზნების ქარხნების პატრონებმა, სანაოსნო ამხანაგობებმა, მოკლეთ მსხვილმა მრეწველებმა და ფინანსისტებმა ხალხს პირიდან უკანასკნელი ლუკმაპური გამოაცალეს და მის ნაშრომს დაეპატრონენ. მათი ინტერესია ხანგრძლივი ომი. ასეთ პირობებში წამოისროლეს ლოზუნგი „ომი ბოლომდის“, ე. ი. სრულ გამარჯვებამდე. ეს ხალხს საბოლოო განადგურებას უქადის, მარა უკანასკნელი ძალაუნებურათ სდუმს. სამხედრო დიქტატურამ ყველაფერი შებორკა და მუშათა რაზმები არივდარია. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ იმპერიალისტთა ბანაკი ააფორიაქა, ხოლო საერთაშორისო დემოკრატია ააფრთოვანა და ერთიმეორეს დაუკავშირა. მეფის ტახტის დამხობით დაიმსხვრა კედელი, რომელიც ამართული იყო სხვადასხვა ქვეყნის მუშათა შორის. თვით გერმანიის რეაქციის ბჭეებიც შეინძრა და დღეს არა ხვალ წამოიქცევა. ინტერნაციონალი დგება, უფრო ძლევამოსილი, ვინემ ოდესმე და ბურჟუაზიულ ქვეყანას დიდ საფრთხეთ ევლინება.

იმპერიალისტთა ინტერესია ხანგრძლივი ომი, ხოლო დემოკრატიისა საპატიო ზავი. ასეთია ზავი ანექსიისა და კონტრიბუციის უარყოფით და ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით. ინტერნაციონალი მეომარ კაცობრიობას მხსნელათ ევლინება და მშვიდობიანობის აღდგენას პირდება. იმპერიალიზმმა ომი წარმოშვა, ხოლო ვერ შესძლო იმ ჯადოქრული ძალების დამორჩილება, რომელიც მან აამოძრავა და სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა. ომის დაბოლოვება ინტერნაციონალს ეკისრება. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი—აი ერთათ-ერთი გზა მსოფლიო კატასტროფის ლიკვიდაციისა და მშვიდობიანობის აღდგენის.

რუსეთი ბრწყინვალე რევოლიუციის ხანას განიცდის. დაემხო მონობის ტახტი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის დემოკრატიას იმორჩილებდა. მეფობა ისტორიას ჩაბარდა. ფაქტიურათ დემოკრატიული რესპუბლიკა დაწესდა. ამით სამაისო დღესასწაულსაც განსაკუთრებული ელფერი ეძლევა. ეს პირველი აშკარა პროლეტარული დღესასწაულია თავისუფალ რუსეთში. მარა მუშათა კლასი ოცნებას ვერ მიეცემა. მან კარგათ იცის, რომ რეაქციონერები ადრე თუ გვიან ძველი წყობილების აღდგენას შეეცდებიან. დემოკრატია ამ დღისთვის მზათ უნდა იყოს. სამაისო დღესასწაული—ეს ბრძოლის დღეა, რომელიც რეაქციის საბოლოო დამარცხებისაკენ გზას გაგვიკაფავს. დემოკრატია ვერას შემთხვევაში ვერ შეურიგდება თუნდაც პარლამენტარული მონარქიის აღდგენას. მუშათა და ჯარისკაცთა სისხლით მოპოვებული დემოკრატიული რესპუბლიკა საბოლოოთ უნდა შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ.

რუსეთის რევოლიუციამ მორიგ საკითხათ წამოაყენა 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება. დიდი ხანია იბრძვის მუშათა კლასი ამ მიზნის მისაღწევათ. და აი დადგა ხელსაყრელი მომენტი. დაემხო დესპოტიზმი—ეს მოსისხლე მტერი დემოკრატიის და დარაჯი ყოველგვარი ჩაგვრა-მონობის. ეჭვს გარეშეა, თუ კი მუშათა კლასი გამოიჩენს ერთსულოვნებას, ხელს გაუწვდის ერთი მეორეს, მაშინ 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებაც აუცილებელი გახდება. დროებითი მთავრობა ძალაუნებურათ შესაფერ დეკრეტს გამოსცემს და სამუშაო დღეს 8 საათით განსაზღვრავს. ხოლო ეს ხელს შეუწყობს მუშათა გათვითცნობიერებას, დემოკრატიის გაძლიერებას და მას საბოლოო მიზნის მიხწევას გაუადვილებს. 8 საათის სამუშაო დღე საერთაშორისო დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების გზა და ხიდია.

ამხანაგებო! მთელი სამი წლის განმავლობაში თქვენ თავს დაგტრიალებდენ შავი ყორნები. თქვენს რაზმს მრავალი საუკეთესო ამხანაგი ჩამოაშორეს. დასასრულ თქვენი მოძღვრების მოტაცებას, ინტერნაციონალის დასამარებას ეპირებოდენ. იყო დრო, როცა სამხედრო დიქტატურით დამთვრალი ბურჟუაზიულ ნაციონალისტური წრეები სიხარულით ფეხზე ვეღარ დგებოდენ და მუშათა საქმე საბოლოოთ წაგებული ეგონათ. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ მათი ზეიმი ნაადრევი გამოდგა. ინტერნაციონალის ძალა-გავლენა დღითი დღე იზრდება. და ახლოა ის დღე, როცა მისი მწყობრი გამოსვლა მსოფლიო ომს წესს აუგებს და კაცობრიობას მშვიდობიანობას მიანიჭებს. დაე პირველი მაისის დღესასწაული ინტერნაციონალის გაძლიერების დღეთ გადაიქცეს. ეს თავდებია მუშათა საბოლოო გამარჯვებისა.

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

## საერთაშორისო დღესასწაული.

ოცდაშვიდი წელიწადია, რაც საერთაშორისო პროლეტარიატი პირველ მაისს დღესასწაულობს. ამ დღეს კარლ მარქსის მიერ შექმნილ-შემუშავებული ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით—პრაქტიკულ განხორციელებას პოულობს.

პირველი მაისობა, როგორც ვიქტორ ადლერმა ერთ-ერთ ინტერნაციონალურ კონგრესზე აღნიშნა, პროლეტარული, კლასიური დღესასწაულია.

1888 წ., დეკემბრის რიცხვებში ამერიკის მუშათა ფედერაციამ ქ. სენ. ლიუიში კონგრესი გამართა, რომელზედაც მათ დადგენილება გამოიტანეს, რომ პირველ მაისს მოეწყოთ მუშათა მანიფესტაციები ნორმალური 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოებლათ, ყველა საწარმოვო დარგებში სამუშაო დროს შემოკლებას კარლ მარქსი უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ აქტათ სთვლიდა. მისი აზრით რვა საათის სამუშაო დროს შემოღება მუშათა კლასს საშვალებას მისცემს დახარჯული ძალ-ღონე აინაზღაუროს, და ფიზიკურათ და კულტურულათ განვითარდეს. ხოლო ეს ერის არსებობის მთავარი პირობა, ვინაიდან მუშათა კლასი ხალხის დიდ უმრავლესობათ იქცევა.

რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას იმ ხანათ სახელდობრ 1888 წელს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა, რადგან მაშინ კაპიტალისტური წარმოების პირობები მუშათა კლასისათვის მეტათ სამძიმო იყო.

1889 წ. საფრანგეთის დედა ქალაქ პარიზში ინტერნაციონალური კონგრესი მოხდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარების წარმომადგენლები დაესწრენ. აქ რეზოლიუცია გამოიტანეს და პირველი მაისი ყველა ქვეყნის პროლეტარების დღესასწაულათ გამოაცხადეს. რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია: პირველ მაისს ყველა ქვეყნებში, შეკავშირებულმა მუშათა კლასმა თავიანთ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და მთავრობას რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება წაუყენონ და რვა საათის სამუშაო დღის განხორციელებას შეუდგენ.

ამავე დროს კონგრესმა დაგმო მილიტარიზმი და სახალხო მილიციის დაწესება მოითხოვა. ამიერიდან პირველი მაისის დღესასწაული მშვიდობიანობის მანიფესტაციის დღეთ გადაიქცა. ამ დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი იმპერიალისტთა წინააღმდეგ ილაშქრებს. თავდაპირველათ პირველი მაისის დღესასწაულს დღიური ბრძოლის ხასიათი არ ქონია, ის უმთავრესათ პოლიტიკური დემონსტრაციის სახეს ატარებდა. მხოლოდ შემდეგში პროლეტარიატის სოციალ პოლიტიკური მოთხოვნები, რასაც პირველ მაისს აყენებდენ, დღიურ ბრძოლის საკითხათ გადაიქცნენ და მით პირველმა მაისმა ძველებური დღესასწაულის ხასიათი დაკარგა.

თავდაპირველათ პირველ მაისს ზოგიერთ სახელმწიფოებში საერთო სამუშაოს შეჩერებასაც ვერ ახერხებდენ. ხშირათ იმასაც კი, ცდილობდენ, რომ პირველი მაისობა, უკეთუ შემთხვევით საქმის დღეს მოდიოდა, შემდეგი უქმე დღეისათვის გადაეტანათ და კვირა

დღეს იდღესასწაულათ. ზოგგან—განსაკუთრებით რუსეთში პირველი მაისის დღესასწაული სასტიკათ იყო აკრძალული და დღესასწაულში მონაწილეობის მიმღებთ ციხე-კატორღებით უმასპინძლდებოდენ.

მაგრამ ახლა საერთაშორისო სოციალ პოლიტიკურ მდგომარეობაში საგრძნობი ცვლილება მოხდა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საერთაშორისო მდგომარეობა შეარყია. დღეს პირველ მაისობას აღარ ჰყავს უდიდესი სასტიკი მტერი—რუსეთის მონარქიზმი. აგრეთვე შეირყა საერთაშორისო სამხედრო დიქტატურა, რომელიც ეს სამი წელია მაჯლაჯუნასავით დაწოლია მუშათა კლასს და მას გასაქანს არ აძლევს. რუსეთის რევოლიუციამ შავი ღრუბლები გაფანტა და მუშათა კლასს საშვალება ეძლევა თავისი უქმე ღირსეულათ იდღესასწაულოს.

დღეს რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება, მუდმივი ჯარის გაუქმება და მილიციის შემოღება, ომის შეჩერება და საერთაშორისო მშვიდობიანობის აღდგენა დღიურ წესრიგში სდგას. მათი განხორციელება ახლო მომავლის საქმეა.

## ხალხთა კავშირი.

ერთ ერთი ლოზუნგი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია აყენებს დღეს, არის ხალხთა შორის ძმობის დამყარება.

რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის პირველი სიტყვა საგარეო პოლიტიკაში—ეს ხალხთა მიმართ მოწოდება იყო, რათა ომისა და ზავის საკითხი მათ გადაეჭრათ და არა გაბატონებულ კლასებს.

დღემდი პროლეტარიატი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს. საგარეო პოლიტიკა საიდუმლო დიპლომატიის კუთვნილება იყო. ის არხეინათ განაგრძობდა თავის დამღუპველ პოლიტიკას და მეჯლიათად ქსოვდა ინტრიგების ქსელს. დიპლომატიამ შესძლო უმაგალითო ომის გაჩაღება და მთელი ქვეყანა სისხლით მორწყო. სამი წელიწადია ომი ანადგურებს საუკუნოებით შექმნილ კულტურას, სამი წელიწადია მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და უთვალავი ქონება ეწირება მას.

ქვეყანა გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკათ. ხალხთა შორის მტრობისა, სიძულვილისა და უნდობლობის გრძნობამ ფართე ნიადაგი მოიპოვა. ბურჟუაზიული საზოგადოება თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. ნაციონალიზმმა თითქო ჩანთქა ყველაფერი და ყოველივე. ზოოლოგიურ ნაციონალიზმის ქადაგებას ბევრი მიმდევრები აღმოუჩნდა. მოპირდაპირე ეს ჩამოერთვა ყოველივე ადამიანური ღირსება—და ეს მაშინ, როცა დღევანდელი მეგობრები ჯერ კიდევ გუშინ მტრები იყვნენ და ერთმანეთს არ ზოგავდენ, როცა დღევანდელი მეგობრები ხვალ შეიძლება მტრები გახდენ, ხოლო მტრები კი—მეგობრები. დიპლომატიას ხომ არავითარი ზნეობა არ გააჩნია. მას სწამს მხოლოდ მოტყუება, ძარცვა-გლეჯა და ძალადობა. დღეს ის ერთთან არის, ხვალ მეორესთან. ასე თამაშობს ის ადამიანთა სიცოცხლითა და ქონებით.

ის ქადაგობს ნაციონალიზმს და სხვა ხალხთა მიმართ აღვივებს სიძულვილს და უნდობლობას. მაგრა გაბატონებული კლასები თითონ მშვენივრათ რიგდებიან ერთმანეთში, როცა საჭიროა ხალხთა დატუქსვა და რეაქციის დაცვა. კიდევ მეტი. თვით ომის დროსაც კი არ სწყვეტენ კავშირს ერთმანეთში და მაშინ, როცა დიდსა და პატარას მოპირდაპირე ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ ამხედრებენ, თითონ საიდუმლო მოლაპარაკებას მართავენ. ყველამ იცის, რომ ნიკოლოზ მეორის სასახლე ბუდე იყო გერმანოფილებისა და უმაღლესი სანოვნიკები მუდამ ორი დესპოტის წმინდა კავშირის დამყარებაზე ოცნებობდენ.

მაგრა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მოშალა რეაქციის როგორც შინაური, ისე საგარეო პლანები. პირველათ გაისმა ძლევა მოსილი ძახილი, რომ მართველ კლასების მიერ დაწყებული ომი ხალხებმა დააბოლოვონ. ეს ძახილი გრიგალივით მოედო მთელ ევროპას. მან ყველგან გამოძახილი ჰპოვა მუშათა ბანაკში. იდეია ხალხთა შორის ძმობისა კვლავ სისხლსა და ხორცს ისხამს. ის ერთნაირათ მოქმედებს როგორც ინგლისელსა და ფრანგზე, ისე გერმანელსა და ავსტრიელზე. ამიერიდან დროებით წაფორხილებული ინტერნაციონალი აღდგენილათ უნდა ჩაითვალოს. დღეს გადალახულია სახელმწიფო საზღვრები და ამ საზღვრებზე აღმართული მტკიცე კედელი ხიშტებისა. იდეია ხალხთა კავშირისა, იდეია ინტერნაციონალური ერთობისა თავისუფლათ ვრცელდება ყველგან და არ არის ძალა, არ არსებობს საშუალება, რომელიც მას წინ გადაეღობება და შეაჩერებს.

რუსეთის რევოლიუციამ დასცა შინ დესპოტიზმი და დემოკრატიული რესპუბლიკა დაამყარა.

ის დღეს ცდილობს დასცეს საიდუმლო დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა ხალხის საქმეთ გამოაცხადოს.

თავისუფალ ხალხთა კავშირი!—აი მისი საგარეო პოლიტიკა.

ომის დაბოლოვება საპატიო ზავით,—აი მისი მოთხოვნილება.

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!



კარლ მარქსი.



ფრიდრიხ ენგელსი.



ფერდინანდ ლასსალი.

## რვა საათის სამუშაო დღის დაკანონება.

8 საათის მუშაობა, 8 საათის დასვენება და 8 საათის ძილი—ასეთია საერთაშორისო პროლეტარიატის მოთხოვნილება, რასაც ის პირველ მაისს აყენებს.

მსოფლიო ომის ქარტეხილში მუშათა კლასი საგსებით დაიმორჩილეს. მისი რეალური სამუშაო ხელფასი შეამცირეს, ხოლო სამუშაო დღე გაახანგრძლივეს. პროლეტარიატს თავს დასტრიალებდა ფიზიკური გადაგვარების საფრთხე. ასეთ დროს იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ და აი დღიურ წესრიგში სოციალური კანონმდებლობა დაისვა. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოითხოვა განსაკუთრებული დეკრეტით 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება. პეტროგრადისა და მოსკოვის მექარხნეები და მეფაბრიკენი 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას დათანხმდენ. ასევე მოიქცენ თფილისის ხაზეინებიც. აქ შედგა მუშათა საბჭოს დეპუტატებსა და ხაზეინთა შემთანხმებელი კომისია, რომელმაც დაკისრებული მოვალეობა პირნათლათ შეასრულა და სამუშაო დღე 8 საათით განსაზღვრა. მაგრა ეს ჯერ გამონაკლია. საჭიროა მთელ რუსეთში 8 საათის სამუშაო დღის საკანონმდებლო გზით დაწესება. ეს დროებითმა მთავრობამ უნდა იკისროს. მან შესაფერი დეკრეტი უნდა გამოსცეს და რვა საათის სამუშაო დღე საყოველთაოდ დააკანონოს.

ბურჟუაზიული წრეები ამ ნიადაგზე მუშათა და ჯარისკაცთა გათიშვას ცდილობდენ. ისინი მუშებს ზარმაცობას და თვისი მოვალეობის მივიწყებას უკიჟინებდენ, მაგრა ამაოთ. ჯარი მუშათა კლასს გვერდში ამოუდგა და ბურჟუაზიის მახინაციები სასტიკათ დაგმო. ჯარისკაცთა ყრილობანი ყველგან 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას ესარჩლებიან.

მოითხოვეთ განსაკუთრებული დეკრეტის გამოცემა 8 საათის სამუშაო დღის დასაკანონებლათ! ეს მუშათა კლასის გამარჯვება იქნება და ხელს შეუწყობს რევოლიუციის გაძლიერებას.

## 1 მაისის წესრიგი.

(დამატება)

1) მიტინგი მოხდება ნაძალადევში, თეატრის იქ მდებარე მოედანზე.

2) მიტინგი დაიწყება დილის 11 საათზე და გათავდება ნაშუადღევის 1 საათზე.

3) ორატორები ილაპარაკებენ 5 წუთით.

4) იქნებიან ორატორები შემდეგი პარტიებიდან და ორგანიზაციებიდან: მუშათა და ჯარ. კაც. დეპ. საბჭოებიდან, მუშათა პროფესიონალურ კავშირებიდან, სოციალისტური პარტიებიდან, ფრონტის წარმომადგენლებისგან და სხვა.

5) თვითეულის ნახევარზე ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ ხელმძღვანელ ბიუროს ორატორთა სია. ორატორები ილაპარაკებენ მხოლოდ 1 მაისის ლოზუნგების შესახებ.

6) დროებით ყველა ორატორები შეჩერებული იქნებიან და დაუკრავს მუსიკა, ორკესტრი და წაიკითხავენ ლექსებს. იმღერებენ და მუსიკას დაუკრავენ აგრეთვე პროცესიის მსვლელობის დროსაც.

7) მიტინგის დაწყებისა და დათავების შესახებ ცნობას იძლევა სამხედრო საყვირი.

8) ტრიბუნებზე, რომლებიც ავტომობილებისგან იქნებიან მოწყობილი, იქნება გზები დატოვებული მისასვლელ-მოსასვლელათ.

9) რომ გამოსავალ პუნქტებში ყველაფერი წესრიგზე იქნეს, ამისათვის საგარო ხელმძღვანელი კომისია თავის წრიდან დილით გზავნის 7 ამხანაგს პუნქტების დასათვალიერებლათ.

10) დანარჩენი წევრები 9 ნახ. საათზე უნდა იქნენ ნაძალადევის მოედანზე და იქ წესრიგი დაიცვან.

12) საერთო ხელმძღვანელათა და მოულოდნელ კითხვების გადასაჭრელათ მთავარხელმძღვანელებმა აირჩიეს ბიურო, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: გ. ერაძე, ნ. ხომერიკი, ნ. ჟუმბურიძე, ზვონარიოვი (ჯარისკაცი), მარტინოვი (ჯ.-კ.), კორონი (ჯ.-კ.) და საპოჟნიკოვი. მათ ბინა ექნებათ ნახალოვკის თეატრში.

13) საღამოს დაბრუნებული მანიფესტანტები გამართავენ მიტინგს ერევნის მოედანზე და იტყვიან სიტყვებს.

14) აეროპლანები ქალაქში გადმოჰყრიან ფურცლებს.

15) დღესასწაული გაიმართება მიუხედავათ იმისა, როგორი ამინდიც არ უნდა იქნეს.

## ახალი ამბები

**მუშათა კრება.** 15 აპრილის თფილისის სახელოსნო კლუბის აუდიტორიაში მოხდა კრება ჯულფის რკინის გზის მოსამსახურეთა და სახელოსნოს მუშებისა. კრებას ორასამდე მუშა დაესწრო. მათ აირჩიეს 18 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც მერმე აირჩია ერთი დელეგატი მუშათა საბჭოში. გამოითქვა სურვილი სოციალდემოკრატიულ პარტიაში ჩაწერისა. სოც. დემ. პარტიაში წევრათ ჩასაწერათ ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ უმბრიევს.

✦ **ტეხნიკთა კრება.** ოთხშაბათს, 19 აპრილს საღამოს 7 საათზე თფილისის სადგურის საპარადო ზალაში, ყველა ქარხნების ტეხნიკთა საზოგადო კრებაა დანიშნული. ვთხოვთ ამხანაგებს კრებაზე ყველანი გამოცხადდენ.

✦ **მუშათა დეპუტატების** საბჭომ დაადგინა, მიმართოს სალდათთა დეპუტატების საბჭოს, რომ მან ბრძანება გამოსცეს, რათა სალდათებს აეკრძალოთ ტრამვაიზე უფასოთ სიარული. სალდათთა საბჭომ შესაფერი ბრძანება უკვე გამოსცა და გუშინ ქალაქის ქუჩებსა და სხვა შესაფერ ადგილებში განცხადება გაკრული იყო.

✦ რადგან პირველ მაისობის დღესასწაულის გამო ქალაქში ხალხი ჩვეულებრივზე უფრო მეტი იქნება, მუშათა დეპუტატების საბჭოს ბიურომ სასურველათ სცნო 1 მაისს სასადილოები გაღებულ იქმნენ 3 საათიდან. თავისთავათ იგულისხმება, სასადილოების პატრონები დილიდანვე უნდა შეუდგენ შესაფერ სამზადისს.

✦ ვ. ბურჯანაძემ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის ხარლამოვისგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „გულითად მადლობას ვუცხადებთ თფილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილების კრებას მის მიერ გამოცხადებულ გრძნობათა გამო და ახალი წესის განმტკიცებისთვის ყოველნაირ ზომების მიღებისათვის. ხარლამოვი“.

✦ **ხორცის კრიზისის** გამო მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა შესაფერის წინადადებით მიმართონ სასურსათო ორგანიზაციებს მიიღონ შესაფერი ზომები კრიზისის წინააღმდეგ.

✦ **ყარაიაზიდან ძეგამამდე.** ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოთ ალსტაფაში შესდგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბიურო. გთხოვთ ამხანაგებს ჩაეწეროთ წევრებათ მდივან იონა კაჭარავასთან.

✦ **მედავითნეთა საყურადღებოთ.** შემდგარია მედავითნეთა კავშირი, მოგიწოდებ ყველა მედავითნეთ გორის მაზრისა 21 აპრილს ამა წ. დანიშნულია კრება გორის სასულიერო სასწავლებელში.

✦ **მუშათა საბჭოს** აღმასრულებელ კომიტეტის ბიურო თხოვს ინტელიგენტ მუშაკთ, რომელთაც დრო და სურვილი აქვთ საბჭოში იმუშაონ, ამის შესახებ მიმართონ შესაფერის განცხადებით საბჭოს მდივანს გ. ცინცაძეს.

✦ **მუშათა დეპუტატების** საბჭომ დაადგინა აცნობოს დროებით მთავრობას ხმები იმის შესახებ, რომ ყირიმში რეაქციონერებმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მეთაურობით რეაქ. ბუდე გაიჩინეს.

✦ 16 მაისს ყოფილ მე-9 უბანში მოხდა თფილისის მოქალაქეთა კრება რაიონულ კომისიის ამოსარჩევათ. ამოირჩიეს 25 კაცი.

✦ მუშათა დეპუტატების საბჭომ განიხილა ქ. რეშტისა და ენზელის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლის დავით შარაშიძის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ სპარსეთის კონსულთა მოქმედება დაუქვემდებარდეს ადგილობრივ რუსულ ორგანიზაციების კონტროლს. დეპუტატთა საბჭომ დაადგინა ამიერ კავკასიის კომისარიატთან შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს.

## დეპეშები.

(პ. დ. ს. 15—16 აპრ.)

**დროებითი მთავრობის დადგენილება.**

დროებითმა მთავრობამ დაადგინა: ყველა ჯარისკაცები, რომლებიც კი 43 წელს აღემატებიან ახლავე სამსახურიდან გაანთავისუფლონ.

**სახალხო განათლების მინისტრი ავანსათ ფულს თხოულობს.**

სახალხო განათლების მინისტრი მანუილოვი ხაზინიდან ერთდროულად 341000 მანეთს თხოულობს. ეს ფული საოსტატო ინსტიტუტების, სემინარიისა და სხვა სასწავლებლის გაჭირვებულ შეგირდებს დახმარების სახით დაურიგდებათ.

**ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუცია ლენინის შესახებ.**

პეტროგრადის ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ლენინის აგიტაციის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ვიქონიეთ რა მსჯელობა ლენინისა და მის მიმდევრების დეზორგანიზაციულ პროპაგანდის შესახებ, რომლებიც ჩვეულებრივ რევოლიუციონური და ხშირათ სოციალდემოკრატიული დროშით გამოდიან, დავასკვენით, რომ ეს აგიტაცია კონტრ-რევოლიუციონურია. ამიტომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ ჯარისკაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ლენინსა და მის მიმდევრების დეზორგანიზაციულ პროპაგანდის წინააღმდეგ სისტემატიური პროპაგანდა გაეწიოთ, როგორც პრესაში, ისე, ჯარში.

**პირველ მაისის უქმობა.**

დროებითმა მთავრობამ დაადგინა მიმდინარე წელს 18 აპრილს ყველგან მაცადინეობა და მუშაობა შეწყვეტილ იქნას.

**ნიჟნი-ნოვგოროდის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება.**

ნიჟნი-ნოვგოროდის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ჯარისკაცებს მოუწოდებს, რომ მათ რკინის გზებზე და საზოგადოთ ყველგან წესიერება დაიცვან და მით თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა წმინდათ შეასრულონ.

**შმიდტის საფლავზე.**

**ადესა.** 15 აპრ. აჩაკოვიდან მოვიდა შავი ზღვის ფლოტის დეპუტაცია და აუარებელი ხალხის თანდასწრებით გადაიხადა ადგილობრივ სობოროში პანაშვიდი შმიდტის და მასთან დაღუპული მატროსების მოსაგონარათ, შემდეგ დეპუტაცია გავიდა ნავებით იმ ალაგას, სადაც ამ 11 წლის წინეთ დახვრიტეს შმიდტი და მატროსები. საფლავებზე აღმართეს ჯვარი და შეამკეს გვირგვინებით. ფლოტის კაპიტანი ზარუდნი სთხოვს ადესის ორგანიზაციებს იპოვნონ შმიდტის და ამხანაგების ნეშთი, გადაიტანონ ადესაში და ზეიმით დაასაფლავონ ზღვის პირათ, ძეგლისთვის შეგროვებული თანხით სასაფლაოზე აღმართოს მაიაკი.

**მინსკი.** 16 აპრ. დილის სხდომამ დაამტკიცა ფრონტის კომიტეტის არჩევნები; კომიტეტში შედის 27 აფიცერი, 10 მუშა, 3 ექიმი და 35 სალდათი. სიეზდის სურვილით კომიტეტში შედის მღვდელი ელადონცევი. დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე პეტრ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებაში გადაიცეს ათი მილიონი მანეთი რევოლიუციონური ძალების შესაკავშირებლათ.

**საფრანგეთის სოციალისტები.**

**პარიზი.** 15 აპრილი. საფრანგეთის სოციალისტების აღმასრულებელმა კომიტეტმა ჰოლანდიის სოციალისტთა დელეგაციის საპასუხოთ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის ორ მაისს მოწვევის შესახებ, განაცხადა, რომ ის არ სცნობს ჰოლანდიულ სოციალისტების უფლებას ინტერნაციონალის სახელით ილაპარაკონ, ვინაიდან ეს მათთვის არავის და ვალებია. კომიტეტი ამტყუნებს გერმანიის და ავსტრიის სოციალისტებს იმაში, რომ მათ სოციალიზმი გადააქციეს სხვისი ქვეყნების დასაპყრობ იარაღათ. ამიტომ გერმანიის სოციალდემოკრატიასთან მხოლოდ მაშინ შეიძლება კავშირის აღდგენა, თუ იგი თავის პოლიტიკის საწინააღმდეგო ნაბიჯებს გადადგამს ცხოვრებაში. კომიტეტის აზრით სტოკჰოლმში მომხდარ კონფერენციისტური მოლაპარაკება, ხელს შეუწყობს მხოლოდ სეპარატიულ ზავს. მას შემდეგ, როცა გერმანია ეხლაც კი უარზეა გამოსთქვას თავისი გულის ნადები ომის მიზნების შესახებ, როცა განახლებული რუსეთი მზათაა სისხლის წვეთამდე დაიცვას თავისი თავისუფლება გარეშე მტრისაგან და როცა შეერთებული შტატებიც კი ჩაერია ომში, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო უფლების პატივის ცემაზე აგებულ მშვიდობიანობას,—აი ასეთ დროს ტყუილია იმაზე ოცნება, თითქოს საფრანგეთის სოციალისტები თანაგრძნობით მიუდგებიან ასეთ ცდას. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის არც ერთ წევრს არ მისცემია მანდატი კონფერენციაზე დასასწრებლად. კომიტეტმა გადასწყვიტა მოიწვიოს საერთო ნაციონალური სოციალისტური კონგრესი გარეშე საქმეთა პოლიტიკის გამოსარკვევათ, 14 აპრილს.

**8 საათის სამუშაო დღე.**

**ბაქო.** 15 აპრ. მრეწველთა თათბირი წინააღმდეგია 8 საათის სამუშაო დღის; მუშათა დეპუტატების საბჭოს აზრით მუშებმა გაფიცვას არ უნდა მიმართონ და ეს კითხვა გადასწყვიტონ სახელმწიფოებრივი გზით—ნავთის მრეწველობაზე და ნაოსნობაზე კონტროლის დაწესებით, რომლებიც 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგი არიან.

**საბარათო სისტემა შაქარზე.**

**პეტროგრადი.** 15 აპრ. სახელმწიფოს სასურსათო კომიტეტმა დაადგინა შემოიღოს ყველგან საბარათო სისტემა შაქარზე და 3 გირვანქის ნაცვლათ 2 ნახ. გირვანქა დაწესოს. შემოტანილ იქნას შაქარი მხოლოდ წინასწარი ფასების გაგების შემდეგ და გადაეცეს სახელმწიფოს.

**აგრარიული მოძრაობა.**

ხარკოვის გუბერნიაში, სოფ. კრიაჟის გლეხებს შორის აგრარიული მოძრაობა დაიწყო.

დასახელებულ სოფლის გლეხებმა მონასტრის ადგილ-მამულები დაიჭირეს. ტყესა და საძოვარს დაეპატრონენ. მონასტრის საძოვარ მინდვრებზე საქონელს აძოებენ და ამასთანავე ბერებიდან თხოულობენ, რომ მათ საერთო მამულების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღონ.

აგრარული მოძრაობა დაიწყო აგრეთვე ტამბოვის გუბერნიაში. გლეხებმა სხვადასხვა სოფლებში დიდი მემამულეების ადგილები დაიჭირეს და მათ დაუკითხავლად ხმარობენ.

**რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში.**

**სტოკჰოლმი.** 15 აპრ. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში გენერალმა გრენერმა სიტყვის დროს განაცხადა, რომ საიმპერიო კანცლერმა არ მიიღო მუშათა დეპუტაცია, რომელთაც მოუთხოვიათ რუსეთის მსგავსათ მუშათა დეპუტატების საბჭოს შედგენა. ასეთივე მოთხოვნილება წარუდგენიათ ლეიპციგის მუშებს. გენერალმა მუშების ამ ნაბიჯს ტუტუცურ-თავხედური უწოდა.

**საყურადღებო დადგენილება.**

**მინსკი** 14 აპ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდმა დაადგინა „დათხოვნილ იქნან სამსახურიდან რეაქციონერი სამღვდელო პირები და სახალხო სკოლის ინსპექტორები. გაიგზავნოს არმიიდან სოფლათ სახალხო მასწავლებლები, აგრონომები და კოოპერატორები გლეხთა ორგანიზაციების მოსაწყობათ გაიდევნოს სახალხო წიგნთსაცავებიდან რეაქციონური ლიტერატურა და ნაცვლათ შეძენილ იქნას რევოლიუციონური". გამოითქვა სურვილი სახალხო სახლების, წიგნთსაცავსამკითხველოების, ლექციების და კურსების მოწყობის შესახებ.

**გლეხთა სიეზდები.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. თავრიდის სასახლეში დაიწყო 25 გუბერნიის გლეხთა დელეგაციის კრება. კრების საგანია სრულიათ რუსეთის გლეხთა ორგანიზაციის მოწყობა. საუკეთესო ფორმათ სიეზდმა ჩასთვალა გლეხთა დეპუტატების საბჭო. დაარსდა ბიურო სრულიათ რუსეთის სიეზდის მოსაწვევათ თავრიდის სასახლეში. დელეგატები გლეხებმა უნდა აირჩიონ. სიეზდი უნდა შედგეს მაისის პირველ რიცხვებში.

**სტუდენტები ჯარში.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. პეტროგრადის სტუდენტობა რევოლიუციის პირველი დღიდანვე ფრონტზე გაემგზავრენ ჯარში რევოლიუციონურ იდეების გასავრცელებლათ. ოფიცრები და ჯარისკაცები სტუდენტობის საქმიანობას დიდი ქებით იხსენიებენ.

**ბულგარეთის პროლეტარიატი და რუსეთის რევოლიუცია.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. ბულგარიის პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის კომიტეტი სალამს უძღვნის რუსეთის პროლეტარიატს და აცხადებს, რომ რუსეთის რევოლიუციას დიდი მნიშვნელობა აქვს ბალკანეთის ერთათვის, ვინაიდგან ქარწყლდება შიშიანობა დაპყრობითი პოლიტიკისა.

**მატროსები და ლენინი.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. ბალტიის ფლოტის მეორე ეკიპაჟის მატროსებმა, რომლებიც ლენინის მოსვლის დროს ფინლიანდიის სადგურზე საპატიო დარაჯათ იდგენ, შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: „ვაცხადებთ, რომ ლენინის შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა, რადგან გვეგონა, რომ პატივს ვცემთ რუსეთის რევოლიუციის მოღვაწეს. ეხლა კი, გავიგეთ რა, რომ ლენინი დაბრუნდა რუსეთში გერმანიის იმპერატორის ნებართვით, გამოვთქვამთ, ჩვენს ღრმა მწუხარებას იმის გამო, რომ შეხვედრაში მონაწილეობა მივიღეთ, რო გვცოდნოდა რომელი გზით მოვიდა ლენინი „ურას" მაგიერ ჩვენგან გაიგონებდა—„ძირს, უკან, იქით, საიდანაც მოსულხარ". განცხადებას ხელი მოაწერეს წარმომადგენლებმა—პავლომა, ზახაროვმა, გერშოვმა და სხვებმა.

**ნიკოლოზ მეორეს დაცვის საქმე.**

**პეტროგრადი.** 14 აპრილი. მეთორმეტე არმიის დელეგატებმა განაცხადეს: შესაძლებელია მეფის სოფელში კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი და ნიკოლოზ რომანოვის გამეფების ცდა, ამიტომ საჭიროა ყოფილი მეფე პეტროგრადში იქნას გადაყვანილიო; ამის გამო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გაგზავნა მეფის სოფლის სასახლეში კაცი იმის გასაგებათ—მართალია თუ არა ეჭვები. გამოირკვა, რომ რესტავრაციის შიში ნაადრევია და ყოფილი მეფის პეტროგრადში გადაყვანა არაა საჭირო, გარნიზონი ფრთხილად სდარაჯობს ყველასა და არავითარ დეფექტს ადგილი არ ექნება. დელეგატებს წინადადება მისცეს—პირადათ დარწმუნებულიყვნენ მეფის დაცვის საქმეში.

**სამხედრო ტყვეების მდგომარეობა.**

**მინსკი.** 14 აპრ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდზე მუშათა კომისიაში გამოიტანეს მთელი რიგი დადგენილებათა სამხედრო ტყვეების შესახებ. ჯამაგირს გარდა, ტყვე ჯარისკაცებს ისე უნდა მიეცეს საჭმელ-სასმელი და ბინა-ტანთსაცმელი, როგორც რუსეთის ჯარისკაცს. რომ უფრო ნაყოფიერი იყოს ტყვე ჯარისკაცთა შრომა—დაადგინეს: შექნან ცენტრალური ორგანო, რომელიც უმთავრეს ყურადღებას უპირველესათ ჯარისკაცთა ოჯახების სასოფლო მეურნეობას მიაპყრობს. ტყვე ჯარისკაცები არ უნდა ამუშაონ ფრონტის ტერიტორიაში. აუცილებელ საჭიროებათ ალიარებს სიეზდი „ოტსროჩკების" სასწრაფოდ გადასინჯვას.

**ყოფილი მინისტრის ბინის გაჩხრეკა.**

**პეტროგრადი.** 14 აპრილი. პრევერზერის განკარგულებით გაჩხრიკეს ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტის თავ. გოლიცინის ბინა. იპოვნეს იარაღი. შვეიცარი და შოფერი („ახრანკის" თანამშრომლები არიან) დაატუსაღეს.

**8 საათის სამუშაო დღე.**

**ჰელსინგფორსი.** 15 აპრ. დეპუტატების ერთმა ჯგუფმა კანონპროექტი წარადგინა სეიმში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. კანონპროექტი 64 მუხლიდან შესდგება. ფინლიანდიის სენატი შეუდგა ებრაელების უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმის განხილვას. კანონპროექტი წარედგინება სეიმის მომავალ სესიას.

**გ ა ფ ი ც ვ ა.**

**კიევი.** 14 აპრ. გაიფიცნენ სამხედრო ტყვეები, რომლებიც ქალაქის საქმეებზე მუშაობდენ. მოთხოვნილებაა—8 საათის სამუშაო დღე და მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

**ლენინი და კალანტაი.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. 12 აპრილის სხდომაზე ირჩეოდა „თავისუფალი სესხის" საკითხი. მენშევიკებმა შეიტანეს წინადადება ამ კითხვას ცალკე სხდომა მოვახმაროთო. ლენინის მიმდევარი ბოლშევიკები მოითხოვდენ დაუყონებლივ გარჩევას. ბოლშევიკების სახელით გამოვიდა მწერალი ქალი კალანტაი, რომელმაც წარმოადგინა ლოზუნგი: „ძირს ომი", ძირს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მთავრობა, არც ერთი კაპეიკი მთავრობას". მას სალდათმა უპასუხა, რომელმაც სთქვა: ვინც არ აძლევს ომისთვის ერთ კაპეიკსაც კი, ის არც ჯარისკაცს ტოვებს ფრონტზე, არც იარაღს უგზავნიან მას. სალდათის პასუხის შემდეგ კალანტაიმ მოხსნა თავის რეზოლიუცია.

**შ ე ფ ი ც ვ ა.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. მეცამეტე ულანის ვლადიმირის პოლკი სალამს უძღვნის დროებითი მთავრობას და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და პირდება მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს იმ დიადი საქმის გასამტკიცებლათ, რომელსაც მთავრობა და საბჭო ემსახურება.

**არმიის კომისარიატი.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. ფრონტის დელეგატთა და ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების შეერთებულმა თათბირმა განიხილა არმიის კომისარიატის წესდების პროექტი. პროექტის აზრით კომისარიატი შესდგება სამი კაცისაგან—ერთი დროებითი მთავრობიდან, ერთი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან და ერთიც არმიიდან. კომისარიატი კონტროლს უკეთებს არმიის და ფრონტის კომანდირების მოქმედებას. პროექტი გადაეცა პეტრ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ალმ. კომიტეტს, რათა საჩქაროთ განახორციელოს.

## დღესასწაული.

**ქუჩებში.**

1.

მოდის, მოდეღავს ზღვა ხალხი
ლალი დროშების ფრენითა;
ისეთი სანახავია,
ვერ გამოითქმის ენითა!

2.

მოდიან, მოგუგუნებენ
სიცილითა და მღერითა,
თვალი მეღლება და მაინც
ვერ ვძღები მათი მზერითა!

3.

მსურს ყველას გადავეხვიო
და დაუკოცნო პირი-მე,
მაგრამ ცრემლები მერევა
და სიხარულით ვსტირი-მე!

გ. ქუჩიშვილი.

**ფიცი ახალ მთავრობას.**

**მოსკოვი.** 14 აპრ. დღეს „პირველი მარტის ბატალიონმა" ფიცი მიიღო დროებით მთავრობის ერთგულებაზე. ფიცის შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი.

**ეკატერინე II ძეგლის გადადნობა.**

**ეკატერინოსლავი.** 14 აპრილი. ეკატერინე მეორეს ძეგლი აიღეს და უნდა მუზეუმში შეენახათ, მაგრამ ჯარმა და ხალხმა მოითხოვა ბარიანსკის ქარხანაში გაგზავნა და ომის საჭიროებისათვის გადადნობა, რაც შეასრულეს.

**დახმარება პროფ. კავშირებს და მუშათა ორგანიზაციებს.**

**პეტროგრადი.** 14 აპრილი, გზათა მინისტრი ნეკრასოვი სთხოვს დროებითი მთავრობას ფულს—პროფესიონალურ და სხვა მუშათა ორგანიზაციებისთვის ერთდროულ დასახმარებლათ.

**სრულიათ რუსეთის რედაქტორების სიეზდი.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. 22—23 აპრილს პეტროგრადში გაიმართება სრულიათ რუსეთის რედაქტორთა კრება. კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სატახტო და პროვინციალურ გაზეთის რედაქტორს, აგრეთვე ხელმძღვანელს. დიდ გაზეთს შეუძლია ორი დელეგატი გაგზავნოს, პატარას კი ერთი. სიეზდის საკითხებია ყოველდღიური პრესის მდგომარეობა და რევოლიუცია, ბეჭდვითი დროებით კანონის განხილვა და სხვა. კერძო მიწვევის ბარათი არავის გაეგზავნება. თუ ვინმეს მოხსენება სურს—გვაცნობოს თესიზები.

მისამართი—პეტროგრადი, ჟუკოვსკის ქუჩა, 21.

**საუფლისწულო მამულები.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. დროებით მთავრობამ დაადგინა—საუფლისწულო მამულები და საუფლისწულო უწყების ხელში რაც ქონება იყო გადაეცეს მიწადმოქმედების სამინისტროს; საუფლისწულო უწყების კაპიტალი გადავიდეს გ მოსასყიდ ფონდში, საგლეხო ბანკზე გადაცემული მიწები გადაეცეს ხაზინას, სხვა დანარჩენი თანხა და კაპიტალი გადავიდეს ფინანსის მინისტრის განკარგულებაში. მიწადმოქმედების სამინისტროსთან მოეწყოს განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც გაუძღვება საუფლისწულო უწყების მამულებს და შემოსავლიან სახლებს, ყოფილი მეფის სანადირო არქივს და სხვა.

**პური ომისთვის.**

**იალუტოროვსკი.** 14 აპრ. იალუტოროვსკის (ტობოლის გუბერნია) მაზრის გლეხებმა რევოლიუციის დღიდან არმიის საჭიროებისათვის მიიტანეს 250,000 ფუთი პური ფასით, 30 000 ფუთი უფასოთ, ე. ი. 30 ათასი ფუთი შესწირეს.

**ქალი ნაფიცი ვექილი.**

**ოდესა.** 15 აპრ. ნაფიც ვექილთა წოდებაში ჩარიცხეს შვიდი იურისტი ქალი, ერთი იმათგანი უკვე გამოვიდა საქმის დასაცავათ.

**გერმანიის სამხედრო მინისტრის განცხადება**

**სტოკჰოლმი.** 14 აპრ. რეიხსტაგის უმთავრეს კომისიაში სამხედრო მინისტრმა გრენერმა განაცხადა: „ნებას არ მივცემ არავის მუშებში პოლიტიკური პროპაგანდა აწარმოვოს, მოვითხოვ გაფიცვების შეწყვეტას, აგიტატორებს მივცემ პასუხის გებაში, როგორც სახელმწიფოს მოღალატეთო". გაფიცულებს მინისტრი მოწოდებაში მკაცრი და შეუფერებელი სახელით იხსენიებს. მინისტრი მოუწოდებს ქალებსა და გონიერ მუშებს გავლენა მოახდინონ გაფიცულებზე. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „ვინ ბედავს გაფიცვას მაშინ, როცა ჰინდენბურგი მოითხოვს შრომას"? იმპერიის კანცლერმაც მსგავსი ცირკულიარი დაგზავნა ჯარში და იმუქრება, რომ მთავრობა, რომელიც იცავს კანონს და უფლებას, სასტიკ პასუხს მოსთხოვს ყველა იმათ, ვინც ხელს უწყობს გაფიცვას და ღალატობს ნაციის ინტერესებს. დასასრულ კანცლერის ბრძანებაში ნათქვამია, რომ ვინც ფარულ აგიტაციას ეწევა და ამით გერმანიის სამხედრო ძლიერებას ასუსტებს, ჩაითვლება სამშობლოს მტრათ და სასტიკ პასუხს აგებს კანონის წინაშეო.

**ბარძიმი და ჯვარი.**

**მინსკი.** 14 აპ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდის წევრი ჯარის მღვდელი ელაშენცევი მოუწოდებს კრებას ოქროს ბარძიმი და ჯვრები, სახარების ყდები, საყდრების ოქროს სახურავები მოხმარდეს წმინდა თავისუფლების განმტკიცებას. ოქროს სახურავის ნაცვლათ საყდრები დაიხუროს შავი რკინით რევოლიუციაში დაღუპულ გმირთა მგლოვიარობის ნიშნათ, ჩამოხსნან ძვირფასი თვლები შესამოსელს, ბალდახინებს, ნეშტს, ივანე დიდის სამრეკლოს კიბე, [illegible] ნევლის, კიევის და სერგის [illegible] სიმდიდრე, ძვირფასი და მძიმე მიტრები, წაიღონ მონასტრების კაპიტალი, რომლის პროცენტი ორ მილიონამდე იძლეოდა წლიურათ და ყოველივე მოხმარდეს თავისუფლების გამარჯვების საქმეს, სამღვდელოებამ ხელი უნდა მოაწეროს „თავისუფლების სესხს", სამღვდელოებამ ჯამაგირის ნაწილი უნდა გადადვას ამ დიადი საქმისთვის, სამღვდელოებამ მკერდის ჯვარიც უნდა შესწიროს თავისუფლების და ომის დაგვირგვინებას. მღვდელი ელაშენცევი იხსნის ჯვარს და აძლევს პრეზიდიუმს, რაც იწვევს საერთო ოვაციას. სიეზდმა დაადგინა სიტყვა დაბეჭდოს და დაუგზავნოს სამღვდელოებას.

**ანარქისტები და ომი.**

**ადესა.** 14 აპრ. ადესის ანარქისტების საორგანიზაციო კრებამ დაადგინა—უარს ვამბობთ ანარქისტულ გამოსვლებზე და ხელს არ უშლით მთავრობას როგორც დემოკრატიული წყობილების დამყარებაში, აგრეთვე ომის წარმოებაში, ვინაიდან ეს ომი რევოლიუციათ გადაიქცა.

**დეზერტირების წინააღმდეგ.**

**სიმფეროპოლი.** 14 აპრ. მოეწყო სპეციალური კომისია დეზერტირების წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. მელიტოპოლის მაზრაში ცოლებმა დეზერტირი ქმრები არ მიიღეს.

**კიდევ დეზერტირებზე.**

**მინსკი.** 14 აპრ. სიეზდმა დაადგინა: დეზერტირობა ითვლება სამარცხვინო ქცევათ რევოლიუციის ღალატათ, მოუწოდებს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, აგრეთვე გლეხთა ორგანიზაციებს ფრონტიდან თავის ნებით წამოსულები დაუყონებლივ დააბრუნონ სამხედრო უფროსთან. გამოითქვა სურვილი სასალდათონი მილიციაში არ მიიღონ.

**ყირიმის რეაქციონერები და ხალხი.**

**სიმფეროპოლი.** 14 აპრ. გუბერნიის კომიტეტთა წარმომადგენლების სიეზდმა დაადგინა: რადგან თანდათან ძლიერდება ხმები ყირიმში დაბანაკებულთა მავნე აგიტაციის შესახებ, სიეზდი საჭიროს სთვლის გაიფანტოს დასახელებული ადგილიდან ყოფილი სანოყნიკები იმპერიის სხვადასხვა ადგილებში.

**ფლოტის რეკვიზიცია.**

**ბლაგოვეშჩენსკი.** 14 აპრ. ამურის ნავოსანთა სინდიკატმა უარი უთხრა მუშებს და მოსამსახურეებს ეკონომიურ მოთხოვნილებებზე. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ, რომ თავიდან აიცდინოს (დღევანდელ პირობების მიხედვით) მავნე გაფიცვა სინდიკატს ჩამოართვა ფლოტი და შეატყობინა მიმოსვლის მინისტრს.

**ფრონტისაკენ.**

**მინსკი.** 14 აპრ. „ზურგში" მიფარებულთა შესახებ სექციამ მიიღო შემდეგი დადგენილება: დაუყონებლივ გაიგზავნოს ფრონტზე

## პირველ მაისს.*)

პირველ მაისო! აღტაცებით მოგელი შენა,
შენს მოლოდინში გული ხარობს, მუსიკობს ენა,
რათ მეხარება შენი მოსვლა? მისთვის ხომ არა,
რომ ჯანყს მოიცლის მოკასკასე ლურჯი კამარა,
ტყე მინდორ-ველი ტანთ ჩაიცვამს ზურმუხტს და ლალებს,
მოფარჩულ მთა-ბარს მზე დააყრის ოქროს დალალებს,
ფრინველთ სამყარო ამღერდება, აწკრიალდება,
სიო ფრთებს გაშლის, ბუჩქ ბალახი აშრიალდება?..
არა, სულ სხვა რამ მაგონდება უფრო დიადი
და გულს იმედი აცასკროვნებს, ვით განთიადი.
რა მაგონდება? რომ აღსდგება ყველა ჩაგრული
მონის უღელში ქედ-მოხრილი, ჯვარზე გაკრული;
ააფრიალებს ხსნის სიმბოლოს—წითელ ალამსა;
ტანჯული ტანჯულს თანაგრძნობით უძღვნის სალამსა;
ქვეყნის მტარვალებს გაბედულათ შეუთვლის წყევას
და შემოსძახებს: გაუმარჯოს შრომის სუფევას!

ვ. რუხაძე.

## პირველი მაისი.

ამხანაგო ხელი მომეც, რომ გაკოცო წრფელი გრძნობით!
დე მოზღვავდეს გულში შვება მომავალის სხივოსნობით!
დე გამტკიცდეს შეურყევლათ ჩვენი ძალა და ერთობა!
დეე გაქრეს შური, მტრობა და დამყარდეს ქვეყნათ ძმობა!

დიდ ხანს ვიყავთ ტანჯვის ბოძზე ბორკილებით მიჯაჭვული;
დიდ ხანს სევდის ნაპერწკლებით დასერილი გვქონდა გული!
დიდ ხანს ოფლის ნაკადულით ბალს ვურწყავდით მუქთა ხორებს;
დიდ ხანს ველურ ბოძ ლის ველზე ვაყენებდით ძვლების გორებს!..
ჩვენ სისხლს ვღვრიდით... მტარვალი კი დარბაზებში ზეიმობდა!..
ჩვენ ცრემლს ვღრიდით... მტარვალი კი ჩვენის ტანჯვით ამაყობდა!—
ჩვენი ძმები ბნელ საკნებში სულსა ლევდენ გულ დამჭკნარი!..
ჩვენი შვება კვნესა იყო და სიმღერა—გლოვის ზარი!..

მაშ მომეცი, ძამო, ხელი!.. კმარა ცრემლი, კმარა კვნესა!
ღმერთის ქვეყნის სხივთა ბრწყენა გულში შვებათ გაილესა!
ხომ ჩვენია მომავალი, ხომ ჩვენია გამარჯვება:
დღეს ყოველგან შრომის შვილთა ხელი ხელებს გადაება!
წინ მივდივართ! ვაფრიალებთ სიყვარულის წითელ ალამს!
ყველა ქვეყნის დაჩაგრულებს ვუძღვნით სალამს, ვუძღვნით სალამს!
უძლევია ჩვენი რაზმი, უძლევია ჩვენი ძალა!
აბობოქრდა წითელი ზღვა და დროშებიც გაიშალა!..
წინ, წინ მედგრათ, პროლეტარო! ოქროს კერპი თრთის, ცახცახებს!
„დაამსხვრიე ეგ ბორკილიც"! ძმობის ღმერთი გვიკარნახებს!

ამხანაგო! ხელი მომეც, რომ გაკოცო წრფელი გრძნობით!
დე მოზღვავდეს გულში შვება მომავალის სხივოსნობით!
დე გამტკიცდეს შეურყევლათ ჩვენი ძალა და ერთობა!
დეე გაქრეს შური, მტრობა და დამყარდეს ქვეყნათ ძმობა!

ობოლი მუშა.

*) ეს ლექსი ამ ათის წლის წინათ დაწერილია, მაგრამ მაშინ არ გაუშვა ცენზურამ.

## სამაისო.

დროშა ამართეთ სიმართლისა წითლად ნაღები,
ძლევის ემბლემა, კრეთსაბმელი და სამკაული!
ჯარს გზა მიეცით! გზას თხოულობს გმირი ნაქები,
მასაც ეკუთვნის სამაისო დღესასწაული!

მუშებს სიტყვები: რას მოვითხოვთ აქ აღნიშნევით;
რვა საათის დღე! რესპუბლიკა! ხალხის უფლება!
უანექსიო ზავი მტკიცე, არავის ძლევით!
დამფუძნებელი რუსეთისა საერთო კრება!!

გაზაფხულის მზე ფრთებს შეასხავს დღეს ხალხის რისხვას,
მდინარე შმაგობს, ტყე იშლება, ზეიმობს ველი!
ტრიბუნთ უსმინეთ! მზის წიაღზე მედგრად გაისმას
სიტყვა თამამი, სადღეისო, სწორი და წრფელი!

დღეს მაისია! მუშებისა დღესასწაული,
დღეობა შრომის და ერთობის განმამტკიცები,
მაღლა ამართეთ ჩვენი დროშა, მძლე სამკაული,
შემოკრბით ერთად, ვინც ძმებათ ხართ შენაფიცები!

იახამანი.

# პატარა ფელეტონი.

## ვნახე უცხო...

„ვნახე უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მზირალი ფანჯრის პირსა,
სევდას ოფლსა დაენამა, არ უღებდის დანა პირსა,
თვალნი ვაგლახ დაებრიცნა, სანახავით განაკვირსა
და უფერულ ჩარფთა კვნეტით დაჰყურებდის ქუჩის ძირსა.
ზღვა დროშათა, ზღვა ფერადი, მღელვარებდა ნაზად, წყნარად
ჩაგრულნი და ტვირთ-მძიმენი დარაზმულნი შრომის ჯარად,
იმღერიან და ლაღობენ ტანჯულ გულის გასახარად...
დღეს მუშათა დღეობაა, ქვეყნათ ძმობის დასამყარად.
და ის უნჯი მოძმე ვინმე, სარკმლით დაბლა მომზირალი,
სჭვრეტს ამ უცხო, ტურფა სურათს დაღვრემილი, მომტირალი,
სჭვრეტს და ჭვრეტით იტანჯება, გულს უდაგავს სიმწრის ალი,
აღარა სჩანს დროთ წარსულთა და ნეტართა მის წინ კვალი.
სთქვა: „ცხოვრებავ! ევაჰ, ევაჰ! რას გვაწვალებ რა ზნე გჭირს
ვერა ხედავ კრამოლნიკურს კრებას ეგზომ განახშირსა,
რა სიმღერა, რა ლექსები სქეფს აშკარად მათსა პირსა
მარქვი, რისთვის არ მოუვლენ მას ჟანდარმთა შავსა ჭირსა?
ქუჩიდან კი საპასუხოთ, განსაკურნად სევდის მწველის,
მას ჰაბუკსა სანუგეშო მუნ არა რა გამოელის,
ესმის გრგვინვა და სიმღერა მხიარულის ხალხის მთელის
და იცნო, რომ ჰანგი იგი, სიმღერაა ძველ მარსელის.
ისმინა და დანაღონმა თავი კინწურ ჩამოჰკიდა,
აშკარაა, ბედით ჩაგრულს სატანჯველნი განედიდა,
ხალხის ესე სიხარული გულმან მისმან ველარ ზიდა...
რა დასთესა ხელმან მისმან, ვაჰ, ნაყოფსა რაგვარს მკიდა.
და ფანჯრის წინ დავლა ნაკრავს, ღალატისა მრავლის ავტორს
ვაგლახ მუხლნი ჩაეკეცა, აწ უშტატო პროვოკატორს.

ეშმაკი.

ყველა ჯანსაღი სათადარიგო „რატნიკები“ ჩინის და წოდების მიუხედავათ, რომელთაც მოწინავე პოზიციაზე შეუძლიათ სამსახური და „ზურგს“ ამოფარებიან, დანარჩენ მხოლოდ ისეთები, რომელთა გაგზავნა რევოლიუციის ავნებს. დაუყონებლივ გაიგზავნოს ფრონტზე, როგორც უბრალო ჯარისკაცი, ჟანდარმები, საიდუმლო დ აშკარა პოლიციელები იმ პირობით, რომ უფლება არ ექნეთ სამხედრო სკოლებში შესვლისა ან დ უფროსის ადგილის დაჭერისა. ყველა ჯანსაღი სალდათი, როგორც დენშჩიკი დ სხვა უნდა შეიცვალოს დასუსტებულით და დაჭრილით. საჭიროა დაუყონებლივ გაიგზავნოს სამსახურში ყველა 43 წლამდის, რომელიც მსახურებს წითელ ჯვარში, ქალაქის და ერობის კავშირში, სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციებში, ქარხნებში და გემებზე, გარდა სპეციალისტებისა, რომელთა საქმეზე ჩამოშორება თვით საქმეს ავნებს; დაუყონებლივ მოხდეს თავდაცვაზე მომუშავე ქარხნების რევიზია და ფიქტიურათ ჩაწერილები გაიგზავნოს ფრონტზე. გაწვეულ იქნას ომში რუსეთის ის მოქალაქენი, რომლებიც შიდა გუბერნიებიდან წასულან და თავს აფარებენ ფინლიანდიას, კავკასიას და თურქესტანს. სიეზდი იწონებს დროებითი მთავრობის დადგენილებას თეთრ-ბილეთიანების გადასინჯვის შესახებ და მოითხოვს დაუყონებლივ ნაბიჯის გადადგმას საკანტროლო კომისიებში მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებთა მონაწილეობით.

## რუსეთის ეროვნათა და ქალაქთა კავშირის სიეზდი.

კრება გაიხსნა 15 აპრილს 12 საათ. თფილისის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 83 დელეგატი, მათში 38 სალდათი, 14 მუშა და 31 მსახური.

პირველათ კრებას ესალმება აბხაზი და ამბობს: თავისუფლების ლოზუნგი ელვის სისწრაფვით მოედო მთელს რუსეთს, ის გვავალებს ჩვენ თავგანწირულ მოქმედებას, ყველა ოჯახის, ყველა ორგანიზაციის წინ სდგას ორი საკითხი: ერთი ძირითადი გარდაქმნა რუსეთის, მეორე ომის დამთავრება, რომლითაც უზრუნველვყოფთ ხალხს გერმანულ მილიტარიზმისაგან. ამისათვის საჭიროა გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლებანი. (აბხაზი ტაშის ცემით დააჯილდოვეს).

სალდათთა და მუშათა დელეგატთა სახელით სიტყვას ამბობს მე 13 დრუჟინის წარმომადგენელი ლიუბიმოვი—ჩვენ აქ მოვგროვდით სხვადასხვა ადგილებიდან დემოკრატიული პრინციპების მიხედვით არჩეულნი და ამიტომაც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიეზდი ნაყოფიერი იქნებაო.

მადლობას უძღვნის ამხანაგებს, რომლებმაც კრება მოიწვიეს და კომიტეტის თავმჯდომარეს აბხაზსს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრებაზე მოვიდა ამიერ კავკასიის კომისარი აკ. ჩხენკელი, კრება მას ტაშის ცემით ეგებება.

**ჩხენკელი.** გულითად მადლობას გიძღვნით რევოლიუციის დარაჯის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და ამიერ კავკასიის კომისარიატის სახელით. ჩვენთვის, რომელნიც ფარულად ვმუშაობდით სულ მოულოდნელი იყო ამისთანა გამარჯვება, მაგრამ უმთავრესი გამანადგურებელი ძველი წყ ბილებისა იყო თვითონ მთავრობა. პირობები აუტანელი შეიქმნა.

ის აღარ არის და აღარც იქნება. მომავლის მიზანია დააბოლოვოს რევოლიუცია, მოაგვაროს ახალი წყობილება. ჩემის აზრით მუშ. და ჯარ.-კაცთა დეპ. საბჭოების მიზანია იდგენ თავისუფლების დარაჯათ და თუ მას განსაცდელი მოელის, მოუწოდონ ხალხსაც და მთავრობასაც წესიერებისაკენ.

მთავრობა მოისურვებს, რომ გაატაროს ცხოვრებაში ის ლოზუნგები, რომლებიც წამოაყენეს მუშათა საბჭოებმა. მათში უნდა იყოს შეთანხმება—მთავრობა უნდა ეხმარებოდეს ამ ორგანოებს.

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოები შეადგენენ უმთავრეს ფაქტორებს დღევანდელი მოძრაობისას. ამიტომ აუცილებელია კავშირი ამ ორ დემოკრატიულ ორგანოებს შუა,ურომლისოდაც შეუძლებელია გადაწყვეტა მნიშვნელოვან საკითხებისა. თქვენთვის გამორკვეულია ფრონტის საკითხები. ფრონტი აქნობამდი ჩამოშორებული იყო ზურგისაგან, ეხლა კი ფრონტი და ზურგი უნდა გაერთიანდეს. ჩვენი დანიშნულებაა, რომ ეს ორგანიზაცია იყოს ძლიერი და ყველა ასრულებდეს თავის მოვალეობას.

მიზანი ერთია: შევინარჩუნოთ მოპოვებული თავისუფლება. ჩხენკელი დაუსრულებელი ტაშით დააჯილდოვეს.

დარბაზში გამოჩნდენ ნ. ჟორდანია და სალდათა საბჭოს წარმომადგენელი გუსევი. კრება მათ ტაშით მიეგება.

**ჟორდანია** კრებას ესალმება მუშათა საბჭოს სახელით. თფილისი და თფილისის პროლეტარიატი ამაყად იდგა იმ დროსაც კი, როცა რუსეთ ი თარეშობდა სტოლიპინის სასამართლო, დღესაც მისი წინამძღოლი კ. ჩხეიძე პეტროგრადის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეა.

თფილისმა გადიტანა მეორე რევოლიუცია. მეორე რევოლიუცია მოხდა ომის დროს, ისტორიას არ ახსოვს ასეთი რევოლიუცია. ჩვენი მიზანია—უზრუნ-

ველყოთ ქვეყანა, როგორც გარეშე მტრისაგან, ისე შინაურ მტრის თავდასხმიდან. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ იმუშაოთ შეერთებულად, ძველი მონური სული ეცლება თავისუფალ სულს (ტაშის ცემა). სალდათთა საბჭოს წარმ. გუსევი—მოუწოდებს სიეზდს კარგად გაითვალისწინოს ჯარის მოთხოვნილება და მიაწოდოს მას პირველი საჭიროებანი.

შემდეგ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ხატისოვი.

კავშირთა კავშირის სახელით ესალმება კრებას იდაშკინი, რომელიც გამოსთქვამს სურვილს, რომ სიეზდი იმუშავებს თავისუფლებისათვის.

შემდეგი კრება მოხდება ორშაბათს.

ქ. კ—ძე.

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

### ოზურგეთი.

შესდგა მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაცია, რომლის მიზანია გაეცნონ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას და აგრეთვე სხვა პარტიების პროგრამებსაც. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ამხ. შალვა ჩიტაიშვილი. მეცადინეობა ახალ თეატრშია, კვირაში სამჯერ.

თოშინა.

### ბაქო.

რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა „იაჩეიკები“ მოეწყო. მთელი სადგური დაიყო დარგის მიხედვით. ორგანიზაციულ მუშაობაში გამოუცდელობის გამო მრავალ უადგილო კითხვებს აყენებენ კრებებზე. ვურჩევთ ამხანაგებს, ჯერ მჭიდრო ორგანიზაცია შეკრან, თანამედროვე მომენტს გაეცნონ, ადევნონ თვალ-ყური ჟურნალ-გაზეთებს და ნდობით შეხვდენ ორგანიზაციაში გაწვრთნილ ამხანაგებს.

11 აპრილს, ტეხნიკურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართა სხდომა სოციალდემოკრატიული პარტიის რაიონულ კომიტეტის წევრთა, განურჩევლად ფრაქციული მიმდინარეობისა. კრება მრავალ-რიცხოვანი გამოდგა. სხვა კითხვათა შორის გადაწყდა პირველი მაისი იდღესასწაულონ 18 აპრილს, მხოლოდ მუშაობას არ შესწყვეტენ რკინის გზის და ისეთი დარგის ქარხნის დარგები, სადაც დღე და ღამე მუშაობა სწარმოებს. კრება დაიხურა ღამის 12 საათზე. გაურჩეველი კითხვების გარჩევა არ მოესწრო. განიხილავენ შემდეგ კრებაზე.

მოხდა რკინის გზის უბნის სოციალდემოკრატიული მ. პარ. წევრთა საზოგადო კრება, სადაც აირჩიეს რაიონული კომიტეტი. სოც.-დემ. მ. პარტ. რაიონ. კომ. ბიურო მოთავსებულია რკინის გზის სასწავლებლის შენობაში. მორიგეობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდის. აქვე ხდება პარტიის წევრათ ჩაწერა.

### გორის სოციალ დემოკრატიული დამფუძნებელი კრება.

12 აპრილს ქ. გორში „საზაფხულო კლუბის“ დარბაზში მოხდა გორის სოციალ-დემოკრატიის დამფუძნებელი კრება.

კრებას დაესწრო 55 პარტიის წევრი. კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ ი. ირემაშვილი ამხანაგათ პ. ეფრემიძე, მდივნათ ალ. მთვარელიძე. ამხ. თავმჯდომარემ კრებას გააცნო კრების მოწვევის მიზანი. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უკვე ჩაწერილია 1.000 წევრი; თქვენ მიტომ მოგიწვიეთ დაჩქარებით, განაცხადა თავმჯდომარემ, რომ აირჩიოთ კოლექტივი უხელმძღვანელოთ, როგორც „პირველ მაის“ ისე სხვა პარტიულ მუშაობას მთელი გორის მაზრაში. მასთან ერთად ყველასათვის აშკარაა, რომ 1.000 ი წევრით შემდგარ პარტიას ვერ გაუძღვრება ამხ. ცხრა კაცისგან შემდგარი კოლექტივი და მით უმეტეს ახალი ორი ან სამი წევრი.

ამხ. თავმჯდომარემ კრებას გააცნო კანდიდატების სია, შემდეგი პირები: დავით ონიაშვილი, გიორგი მინაზაროვი, კოსტა ცერცვაძე, ალექსანდრა ცერცვაძისა, იოსებ ირემაშვილი, ვასო ქარცივაძე, დავით ჯავახიშვილი, გაბრიელ ლაგასტას, თედორე ჯანელიძე (ორი უკანასკნელი ჯარისკაცი). კრებამ ერთხმათ აირჩიეს ყველა დასახელებული კანდიტატები.

1 მაისის (18 აპრ.) გაწყობა მიანდვეს ახალათ არჩეულ გორის კოლექტივს. შემდეგ ამისა კრება დაიხურა.

ტანჯული მუშა.

# მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოებში.

**თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა.** 15 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მორიგი სხდომა. კრებას თავმჯდომარეობს ნოე ჟორდანია.

პირველად თავმჯდომარე მოხსენებას აკეთებს იმის შესახებ, რომ ენზელიდან მოსული ცნობების თანახმად, რუსეთის კონსული სპარსეთში ავიწროებს რუს მოქალაქეებს და ისევ ძველებურათ განაგრძობენ მოქმედებას. ამ კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: რუსეთის ელჩი სპარსეთში და აგრეთვე სხვა კოლონიებში აუცილებლათ უნდა ემორჩილებოდენ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს.

პრეზიდიუმი მოხსენებას აკეთებს იმის შესახებ, რომ ბორჯომში გაიგზავნა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი როხლინი, რომელსაც დაევალა დაათვალიეროს იქაური სასახლე დიდი მთავრისა და გამოიკვლიოს თუ რა საჭიროებისათვის გამოადგება საზოგადოებას ეს სასახლე. ამის შემდეგ კრებას მიესალმა ახლად დანიშნული . . . . . . . . . მოვალეობაზე პოლკოვნიკი ახმეტელოვი მადლობას უძღვნის კრებას ყურადღებისთვის და ამბობს: მე მზათ ვარ ყოველი მხრივ ხელი შეუწყო რევოლიუციის განმტკიცებასა და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას. კრება მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოებს პოლკოვნიკს.

თავმჯდომარე ამბობს, რომ 23 აპრილს თბილისში გაიხსნება კავკასიის ფრონტის არმიის დელეგატთა სიეზდი. დელეგატების უმეტესი რიცხვი უკვე თფილისში არიან ჩამოსული. რადგანაც ეს სიეზდი ფრიად დიდმნიშვნელოვანია, ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭომ ყოველივე ღონე უნდა იღონოს, რათა სიეზდზე დღის წესრიგში შეტანილ კითხვებზე კრებამ მიიღოს ის რეზოლიუციები, რომელიც გამოიტანა მინსკის სიეზდმა. ამ კითხვამ ცხარე კამათი გამოიწვია.

დეპუტატი აკაკი ჩხენკელი თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ვრცელ და შინაარსიან სიტყვას ამბობს. მან განუმარტა სიეზდის მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კავკასიის რამდენიმე კუთხეში ნაციონალური საკითხი არა სასურველად არის დაყენებული, ამიტომ საჭიროა, რომ სიეზდზე ჩამოსულ სალდათ დელეგატებს გაუშუქოთ ნაციონალური კითხვა, რათა თავიდან ავიშოროთ ის შეუფერებელი გარემოებები, რომელიც გაუგებრობის გამო სუფევს აქა-იქ არმიაში. განმარტა აგრეთვე ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ექნება ჯარ.-კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოთა გაერთიანებას, როგორც რევოლიუციის ორი უმთავრეს მამოძრავებელ ძალებისა. მან ის აზრი გაატარა, რომ თავიდგანვე ამ ორი ორგანიზაციების მუშაობა შეერთებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც ეს არ მოხდა, ეხლა დაუყონებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები ამ ორ ორგანიზაციების შესაერთებლად, ხოლო სიეზდზე კი უნდა ვეცადოთ, რომ იმ კითხვების შესახებ, რომლებიც დღის წეს-რიგში იქნება შეტანილი, გატარდეს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლიუციებიო.

ალ. ლომთათიძე აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს. მას ს. დ. პარტიის ადგილობრივ კომიტეტისაგან დავალებული ქონდა წინასწარი მოლაპარაკება გაემართა სიეზდის საორგანიზაციო კომისიასთან. ორატორმა კრებას ვრცლად გააცნო ის ატმოსფერა, რომელიც სიეზდის წევრთა წინასწარ თათბირზე სუფევდა. პირველ დღესო, ამბობს იგი საორგანიზაციო კომისია და აგრეთვე სიეზდის წევრთაც შეუძლებლად მიაჩნდათ, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ან სხვა, რომელიმე ორგანიზაციის ჩარევა სიეზდის საქმეებში, მაგრამ პეტროგრადიდგან ჩამოსულ ბალტიის ფლოტის წარმომადგენლების ახსნა განმარტებისა და მოხსენების შემდეგ შეხედულება გამოიცვალეს. საშიში არაფერიაო, ამბობს ლომთათიძე, სიეზდზე ჩამოსული დელეგატები გამსჭვალულნი არიან რევოლიუციონური გრძნობით. საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელობა, რომ ამ გრძნობას შესაფერისი კალაპოტი უჩვენოთ, რათა სიეზდი ნაყოფიერი მუშაობით დამთავრდესო. დელეგატთა დიდი უმეტესობა სურვილს გამოსთქვამს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით იმუშავონო. ნაციონალური კითხვის დღის წესრიგში შეტანას ის არ ემხრობა. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც და მოითხოვეს ჯ.-კაცთა და მუშათა ორგანიზაციების შეერთების აუცილებლობა.

ნოე ჟორდანიამ განუმარტა კრებას, რომ სიეზდის გახსნამდე სიეზდის დელეგატთათვის მოწყობილ იქნება ლექციები და რეფერატები, სადაც ისინი წინასწარ გაეცნობიან იმ კითხვებს, რომელიც დღის წესრიგში იქნება შეტანილი. ლექციებზე გაშუქებულ იქნება აგრეთვე ნაციონალური კითხვაც, ხოლო დღიურ წესრიგში კი არ იქნება შეტანილი.

კრებამ მიიღო და დაამტკიცა ეს აზრი. აგრეთვე შესაერთებელი მუშაობის მოწყობა დაავალა აღმასრულებელ კომიტეტს მუშათა დეპ. საბჭოსა.

ამ კითხვის გარჩევის შემდეგ კრებას მოკლე, მაგრამ ფრიად შინაარსიანი სიტყვით მიესალმა თფილისის კომენდანტის უფროს ადიუტანტათ არჩეული დ. ქარცივაძე. მე ნიკოლოზ რომანოვის ტყვე ვიყავი, ციმბირში გადამასახლა, ამბობს ის, მაგრამ რევოლიუციის ქარტეხილმა გამანთავისუფლა ბორკილებიდგან და საპასუხისმგებლო პოსტზეც მომიწვია. მე თქვენთან ვარ, ძალა ერთობაშია, მე ვალდებულად ვრაცხ თავს მთელი თავისი არსებით რევოლიუციის კეთილდღეობისათვის ვიმუშაო. კრებამ ოვაციები გაუმართა მას.

ამის შემდეგ კრებას მოხსენებას უკეთებს პეტროგრადიდგან დაბრუნებული მუშათა დეპუტატების თათბირზე დელეგატათ გაგზავნილი გ. ერაძე. მან გააცნო კრებას სიეზდის მუშაობა და ის რეზოლიუციები, რომელიც სიეზდმა მიიღო და რომელიც იყო მოთავსებული გაზეთებში. შეკითხვების პასუხში მან აღნიშნა ის გარემოებები, რომ სიეზდზე არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა დროებითი მთავრობისაგანო. იყო მხოლოდ კერენსკი, მაგრამ ისიც არა როგორც მთავრობის წარმომადგენელიო. კრებამ მოხსენება მიიღო და მოიწონა და მომხსენებელი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შემდეგ კრებას მოხსენებას უკეთებს ერთი წევრთაგანი დაშნაკცაკანების ანტი რევოლიუციონური გამოსვლის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარის წინადადების და განმარტების შემდეგ, კრებამ ეს კითხვა მოხსნა დღის წესრიგიდგან და პოლიტიკურ პარტიათა ბიუროს გადასცა გამოსაკვლევათ და განსახილველად.

სასურსათო კომისიის წევრი მოხსენებას აკეთებს იმის შესახებ, რომ მიღებულია ზომები ხორცის და სხვა სანოვაგის გაიაფების შესახებო. აგრეთვე აღნიშნა ისიც, რომ სამხრეთ კავკასიიდან თფილისისათვის მოდის უკვე 720 ვაგონი პურის ფქვილი და სხვა.

ტრამვაის წარმომადგენელს განცხადება შემოაქვს, რომ ტრამვაიზე წესრიგის დასაცავათ საჭიროა ვაგონის უკანა ბაქანებზე სალდათებს ნება მიეცეთ უფასოთ მგზავრობისა. ამ კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს მუშათა დეპ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტს იქონიოს მოლაპარაკება სალდათთა დეპ. საბჭოსთან ამ კითხვის მოსაწესრიგებლათ. ამის შემდეგ ერთ წევრთაგანს განცხადება შემოაქვს, რომ არის ცნობები იმის შესახებ, რომ ელისავეტპოლში მიაქვთ თოფ-იარაღი და ტყვიები და საერთოდ მაჰმადიანთ საფრთხე მოელის ხანების წყალობით. ამ კითხვის შესახებ კრებას მოახსენა ვიქ. ნინიძემ, რომ ეს დღეს დაბრუნდა ელისავეტპოლიდგან, სადაც გაგზავნილი იყო და თანახმად ელისავეტპოლის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისა და იქაური მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოების მოთხოვნილებისა, მიღებულია ზომები, რომ ელისავეტპოლის გუბერნიაში, როგორც სომხებთა აგრეთვე თათართა მცხოვრებთ ჩამოერთვათ იარაღი დაუყონებლივ. ამ კითხვის მოწესრიგება კრებამ აღმასრულებელ კომიტეტს მიანდო.

კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ მომავალი სხდომის დღის წესრიგი გამოცხადებული იქნას ყოველთვის ერთი ან ორი დღით წინ გაზეთებში, რათა წევრებმა გაეცნან კითხვებს. 10 ნახ. საათზე კრება დაიხურა. შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ შაბათს.

დამსწრე.

**ფოთი.** მუშათა დეპუტატების საბჭო შედგა 7 მარტს და შეუდგა თავის რევოლიუციურ მუშაობას. პირველ დღიდანვე შეუდგა რევოლიუციის მომხრე ძალების შეერთებას. მოაწყო სახალხო მიტინგი, რომელმაც ამოირჩია ქალაქის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, შექმნა სარაიონო მოქალაქეთა კომიტეტები, ოცისთავების არჩევით, რომელნიც რევოლიუციის სახელით აკავშირებენ ფოთის მცხოვრებლებს. მანვე გაგზავნა თავისი წარმომადგენლები დ. ყულევში და ჭალადიდში, სადაც დასცვალეს ძველი მთავრობის მოხელენი და აარჩიენეს ახალი მთავრობის მომხრენი. შეუდგა პროპაგანდას ჯარში და ერთი კვირის განმავლობაში უფასოდ არიგა მათში პერიოდული გამოცემები. შემოიერთა ჯარისკაცთა დეპუტათა საბჭო მათთან მჭიდრო კავშირის დასაჭერათ. იკისრა ქალაქში წესიერების დაცვა, რისთვისაც შეადგინა დროებით მუშათა მილიცია. ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისაგან მოითხოვა რეაქციის დამქაშების დატუსაღება, შეადგინა საამისო სია, მაგრამ აღმ. კომიტეტმა, თუმცა კი მიიღო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა ეს მოთხოვნა, მისი ასრულება მეტის მეტათ დააგვიანა. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ქალაქის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის ძველი შემადგენლობა ღებულობდა მუშათა საბჭოს დირექტივებს, მხოლოდ სისრულეში მოყვანას მუდამ აჩანებდა. ასე მოიქცა სხვათა შორის, აღმასრულებელი კომიტეტი ღვინის დუქნების დაკეტვის დროს.

მუშათა საბჭომ აგრეთვე იმ თავითვე წამოაყენა სასურსათო საკითხი, მაგრამ აღმასრულებელ კომიტეტის წყალობით დღესაც არ არის ეს საკითხი რიგიან ღონეზე დაყენებული. დღესაც არ არის მოწყობილი სარაიონო კომისიები, არ არის აგრეთვე შემდგარი ცენტრალური კომიტეტი. იმავე მიზნით არ არის გამოძიებული ადგილობრივი სპეკულიაცია და სპეკულიანტები თავისუფლათ განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეებს და სულს ხდიან და ცხრა ტყავს აძრობენ არა მარტო ფოთელებს, დასავლეთ საქართველოსაც კი. ჩვენ მოვითხოვთ მეტი ყურადღება მიექცეს ამ საკითხს.

რასაკვირველია, მუშათა საბჭო ყველა ამასთან ერთად ვერ ივიწყებს თავის კლასობრივ ინტერესებს, ის ყურადღებით ეკიდება შრომის პირობებს, აწყობს სხვადასხვა დარგებში მომრიგებელ კამერებს, აწყობს პროპაგანდისტთა კადრს ამა თუ იმ პროფესიის მუშების გასათვითცნობიერებლათ, ერთი სიტყვით ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ ის კლასიური ორგანიზაციაა, რომელსაც ასულდგმულებს შორეული მიზანი და შედეგები და მტკიცეთ განაგრძობს სვლას იმ ღთქმულ ქვეყნისკენ, [illegible] რომ ჰქვია. მისი შემწეობით უკვე მოეწყო შემათანხმებელი კამერა ხე-ტყის წარმოებაში. მოკლე ხანში განზრახულია დაარსდება მუშათა კლუბის. ასეთია მუშათა საბჭოს მუშაობა დღეს.

ხ—ანი.

**ქუთაისის მუშათა დეპ. საბჭო.** ეხლანდელ რუსეთის რევოლიუციას ფაქტიურათ მუშათა და სალდათთა საბჭოები ხელმძღვანელობენ. ეს ორი ორგანიზაცია არის ყოველივე დირექტივების მიმცემი აღმასრულებელ კომიტეტებისა, ეს ნათლათ დაამტკიცა ამ ერთი თვის მოძრაობამ. ამ ხნის განმავლობაში, რაც კი გაკეთდა, ეს თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს გააკეთა მუშათა და ჯარ.-კაც. საბჭოებმა. ამ მხრივ ქუთაისის მუშათა საბჭომაც გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო. 7 მარტს მოხდა მუშათა საბჭოს არჩევნები. ხსენებულმა ორგანიზაციამ პირველ შეკრებისთანავე გადადგა ნაბიჯი, რაც შემდეგში გამოიხატა. დატყვევებიათ მთელი ჟანდარმერია, და ის ადმინისტრაციის წევრები, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი მოღვაწეობით.

მიაქცია აგრეთვე ყურადღება აუცილებელი საგნების მეტის-მეტი სიძვირეს, გამოყო მუშათა საბჭოდან სასურსათო კომისია, რომელიც შეუერთდა საქალაქო სასურსათო კომისიას, აგრეთვე თავის მხრივ გამოყო ერთნაირი სექცია, რომელსაც დაევალა საქონლის ფასის რაოდენობის გამოკვლევა, როგორც ფართლეულობაზე აგრეთვე საბაკალეინო, საგალანტერეინო და სხვებზე. ამ გზით შეკრებილ ცნობებიდან გამომუშავებული აქმნა ნიხრი, რომელიც ყველასათვის სავალდებულო შეიქნა.

ამის გარდა მუშათა საბჭომ და ჯარ.-კ საბჭომ სააღდგომოთ შეკრიბა საზოგადოების დახმარებით რამოდენიმე ათასი მანეთი, რომლითაც საჩუქრები გაეგზავნათ პოზიციაზე მყოფ ჯარისკაცებს.

მუშათა საბჭოს ყავს თავის წარმომადგენელი ჯარ.-კ. საბჭოში და წინააღმდეგ, ყოველივე საკითხი შეთანხმებით ირკვევა და შეთანხმებითვე იცავენ აღმასრულებელ კომიტეტში. აგრეთვე მუშათა და ჯარ.-კაც. საბჭომ გადასწყვიტა თავიანთი წარმომადგენლები დაეგზავნათ ქუთაისის გუბერნიის ყველა ადგილებში, სადაც კი არის მუშათა და ჯარ.-კ. საბჭოები. მისი მიზანი იყო აღედგინა კავშირი პროვინციის საბჭოებთან. ე. ი. ჩვენმა ნაციონალისტებმა გადადგეს ისეთი ნაბიჯი, რომელიც თავის შინაარსით კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს უმზადებდა. ამ მხრივ ორი ნაციონალისტური მიმდინარეობა, როგორც ფედერალისტები აგრეთვე ნაციონალ დემოკრატებიც ერთნაირათ მოქმედებდნენ, ამ მხრით თავი ისახელა გაზეთმა „სამშობლომ“, რომელმაც სოც.-დემ. ლიდერები უშვერი ლანძღვა-გინებით მოიხსენია. მუშათა დეპ. საბჭო საჩქაროთ შეიკრიბა და დაადგინა: ვინაიდან გაზ. სამშობლოში“ დაბეჭდილი წერილი მიმართულია რევოლიუციის წინააღმდეგ, ამიტომ ხსენებული გაზეთი შეჩერებული იქნას დროებით, რაც იმ დღესვე შესრულებული იქნა.

ამის შემდეგ მუშათა დეპ. საბჭოში მოდის გაზ. „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ბ-ნი ვ. წერეთელი და აცხადებს შემდეგს: „ხსენებული წერილის გაშვება მოხდა ჩვენდა უნებურათ, ამიტომ ჩვენ უკან მიგვაქვს ის ბრალდება, რომელიც თქვენს წინააღმდეგ არის მიმართულიო.

შემდეგ კრებაზედ, მუშათა საბჭომ სხვათა შორის განიხილა გაზ. „სამშობლოს“ საქმე და გადასწყვიტა შემდეგი: გაზეთ „სამშობლომ თავისი ცილისწამება გაზეთის პირველ გვერდზე ხაზ გასმით უკანვე მიიღოს, ავტორი ხსენებული წერილისა იქნას დათხოვილი გაზეთის თანამშრომლობიდან, და აგრეთვე არსად საზოგადო გამოსვლებში ადგილი არ ექნეს. აგრეთვე გაზეთმა არ განიმეოროს ასეთი ნაბიჯები შემდეგში. ყოველივე ეს შესრულებული იქნა, რის შემდეგ განახლდა გაზეთის გამოცემა. ამის გარდა მუშათა საბჭოს ინიციატივით გაიმართა რუსეთის რევოლიუციის სადღესასწაულო დღე 15 მარტს. ამ დღეს მუშათა და ჯარ.-კაც. დეპ. საბჭოები თავიანთი შემადგენლობით ერთმანეთს შეხვდნენ და ერთი მეორეს შეფიცეს, რომ მტკიცეთ დაიცვან მოპოვებული თავისუფლება.

სხვა მრავალ წვრიმალ კითხვებს, რომელიც ცხოვრებამ თავის-თავათ დაუსვა მუშათა საბჭოებს, ამ მხრივ ქუთაისის მუშათა დეპ. საბჭომ შესაფერისი პასუხი გასცა. აგრეთვე მუშათა საბჭოს მიერ მოხდა ყველა პროფესიის კრებები, სადაც ყველგან შედგა პროფესიონალური ბიუროები და აგრეთვე აირჩიეს წარმომადგენელნი მუშათა დეპ. საბჭოში. ეხლა ქუთაისში არ არის დარჩენილი არც ერთი პატარა პროფესიაც კი, რომელიც არ იყვეს დაკავშირებული მუშათა საბჭოსთან. მუშათა დეპ. საბჭოს ყავს თავიანთ შორის გამოყოფილი მომრიგებელი კამერა, რომლის მუშაობა ჯერ-ჯერობით ნაყოფიერია. მოკლეთ, ასეთია მუშათა საბჭოს მუშაობა, თუ როგორი იქნება მომავალში, ამაზე შემდეგ.

ი. ხადემეტროველი.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუსთაველის გამზირის შესახვევი.